მაგრამ ჩვენთვის ცნობილი გახდა მხოლოდ ერთი თანამედროვე მცდელობა – საშუალებებისა და ხერხების სისტემის დამუშავება, რომელიც სათანადო შემოქმედებას მოახდენდა ორგანიზმის დაცვით ძალებზე. ეს არის მიმართულება, რომელმაც მიიღო სახელწოდება „სანოლოგია (სამედიცინო ვალეოლოგია)“ და ყველაზე აქტიურად განავითარესი. ბრეხმანის, ს.პავლენკოს, ს.ოლეინკის, გაპანასენკოს, ე.ვაინერისა და სხვათა სამეცნიერო სკოლებმა. სანოლოგია განისაზღვრა, როგორც „ზოგადი სწავლება...დაავადებასთან ორგანიზმის წინააღმდეგობაზე“, რომლის საფუძველია სანოლოგეზი: დაცვით-შეგუებითი მექანიზმების (ფიზიოლოგიური და პათოგენური ხასიათის) დინამიკური კომპლექსი, რომელიც წარმოიშობა ზეგარბი გალიზიანების შემოქმედებისას. ამ მიმართულების შემქმნელები მიიჩნევენ, რომ სანოლოგეზის მრავალი მექანიზმი მათი წვრთნის პროცესში შეიძლება გახდეს ერთობ სრულყოფილი, რაც გაზრდის ორგანიზმის რესტრენტობას და განამტკიცებს საერთო ჯანმრთელობას.

სანოლოგია მედიცინაზე არ შემოქმედებს მანამ, სანამ ადამიანი ჯანმრთელია და თუ ჯერ კიდევ არ იმ-





ყოფება პრემორბიდულ მდგომარეობაში. ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია არამარტო მედიცინისა და ჯანდაცვის სისტემის გამართულ მუშაობაზე, არამედ სოციალურ-ეკონომიკური პირობების კომპლექსის ზემოქმედებაზე. სწორედ ადამიანის ჯანმრთელობა უნდა იყოს ქვეყნის „საეიზიტო ბარათი“, მისი სოციალურ-ეკონომიკური სიმწიფის, კულტურისა და წინსვლის მაჩვენებელი. როგორც ჩანს, მეცნიერება ჯანმრთელობაზე უნდა იყოს ინტეგრირებული, ითვალისწინებდეს ეკოლოგიის, მედიცინის, პედაგოგიის, ფსიქოლოგიის და ა.შ. დარგთა შორის ზღვარზე არსებულ მონაცემებს. და, რაცდამახასიათებელია ახალი ინტეგრირებული მეცნიერებისათვის, უნდა გამოხატავდეს მიზანმიმართულ ურთიერთდამოკიდებულებას კონკრეტულ სამეცნიერო დარგსა და ფილოსოფიურ აზროვნებას შორის.

ბუნებრივად იბადება მოთხვა: რამდენად საჭიროა ჯანმრთელობის მეცნიერება, როცა მედიცინა ისტორიულად აცხადებდა, რომ ჯანმრთელობის შენარჩუნება მისი მთავარი მიზანია. მაგრამ, თუ ეს ბაჯადლო სიმართლე იყო, მაშინ ჯანდაცვის წარმატების მაჩვენებელი დაფუძნებული უნდა ყოფილიყო საავადმყოფოების საწოლთარაოდენობის შემცირებაზე, რიგი საავადმყოფოებისა და სასწრაფო დახმარების სადგურების დახურვაზე, ექიმთა ნაწილის გადააკვალიფიცირებაზე ჯანსაღი ცხოვრების წესის კონსულტანტებად და ა.შ. ამჟამინდელი ჯანდაცვა კი, თავის წარმატებას ხედავს მხოლოდ პოლიკლინიკებში პაციენტთა მიმართვათა რაოდენობისა და სასწრაფო დახმარების მიერ ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა მოცულობის ზრდაში. თუმცა ეს ყველაფერი გარდუვალია, რადგან ავადმყოფთა რაოდენობა კი არ მცირდება, ყოველდღიურად მატულობს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება სამკურნალო მედიცინითა და საავადმყოფოთა ჯანდაცვის გზით სვლა ყოველად მიუღებლად მიგვაჩნია. საჭიროა შევბრუნდეთ ჯერ კიდევ არადაავადებული ადამიანებისაკენ, მოვახდინოთ მათი პირველადი პროფილაქტიკა და ეს ვაქცინით ყველაზე მთავარ საქმედ მედიცინისა და ჯანდაცვის სისტემაში, მასში ჩაერთოთ სახელმწიფოსა და საზოგადოების მთელი ძალისხმევა და საშუალებები. ეს ამოცანა კი არ ეტევა მხოლოდ მედიცინის ჩარჩოებში. ამიტომ საჭიროა არა ალტერნატიული, არამედ მედიცინასთან თანამეგობრული მედიცინა.

პედაგოგიური შრომის ტრადიციულ ფორმებს დაემატა ინდივიდისა და კოლექტივის მართვისახალი ასპექტი – ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირება. მოსწავლეთა კრეატიული ვალეოლოგიური აზროვნებისა და ამაზე დაფუძნებული ცხოვრების წესის კორექცია უნდა იყოს წინაპირობა დასაფუძველი მომავალი ჯანმრთელი ოჯახების შესაქმნელად. გარანტირებული უნდა იყოს უნარიგაჩინოს, გაზარდოს და აღზარდოს ბავშვები, უფრო სრულყოფილი გახადოს მომავალი თაობის გენოფონდი – ჯანმრთელი მოთხოვნილებების მდგრადი სისტემის მატარებელი.

ჯანსაღი ცხოვრების წესის პედაგოგიური სტრატეგიის შემუშავება უნდა დაეფუძნოს მოსწავლეების მიერ შექმნილ ცოდნასა და გამოცდილებას და ხელს უნდა უწყობდეს რწმენის დამოუკიდებლად გამომუშავებას. რწმენის წყალობით შეიქმნება ჯანსაღი ცხოვრების წესის მოტივაცია, შემდეგ - ვალეოლოგიური და თვითმკურნალობის აქტიურობა საკუთარი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ეს მიდგო-

მა განსხვავებულია დემდე მიღებული იმ ურყევი მონუმენტური სქემისაგან, როგორცაა „ცოდნა-უნარი-ჩვევა“. ეს ქცევითი სისტემა მობილურია, დინამიკურია და ადვილად ეწერება ცხოველმოქმედების ხანგრძლივ პროგრამაში.

ამ სტრატეგიის წარმატება დამოკიდებულია არამარტო უწყვეტი ვალეოლოგიური განათლების სისტემის შემდგომგანვითარებაზე, არამედ, როგორც აღმოჩნდა იმაზეც, თუ როგორ შეიცვლება პედაგოგებისა და განათლების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები. ეს კიწარმოშობს პედაგოგიკის ზოგიერთ ტრადიციულ ნაწილში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობას და ახალი მიმართულების შექმნას პედაგოგიურ მეცნიერებაში – ეს არის ვალეოლოგიური პედაგოგია.

ქვეყნის დემოკრატიის პირობებში (შობადობის შემცირებასა და სიკვდილიანობის ზრდას მიყვავართ უარყოფით დემოგრაფიულ ბალანსთან) მწვავედ აღიქმება ჭეშმარიტი ფასეულობა, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. დროა, თანამედროვე ბავშვები და მოზარდები შევიტანოთ წითელ წიგნში. გამონათქვამი: „ჯანმრთელი სული-ჯანმრთელ სხეულში“ სიტყვა სიტყვით უნდა იყოს გაგებული: ამბო მცდელობა ერის ინტელექტის ზრდისა, როცა საფრთხე ექმნება მოსახლეობის სიცოცხლეს.

საქართველოში ვალეოლოგიის განვითარების პირველ ეტაპზე (იგი ჩემი გადმოსახედიდან 15 წელს ითვლის) არსებითისა და მნიშვნელოვანის გაკეთება ვერ შევძელით. მხოლოდ ის მოხერხდა, რომ დავეტყდეთ სტატიები და კონფერენციებში წარვა-დგინეთ მოსხენებები. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მუშაობები წარმოდგენილია ნაკლებად მკითხავი პერსონალით, რომელთაც არ აინტერესებთ ერის სინჯანსაღე და ამასთან, არ აწვდიან ქვეყნის მმართველებს საგანგავო ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პროგრესული სვლით ნადგურდება ეროვნული გენოფონდი.

ვალეოლოგია ერთობ ახალგაზრდა მეცნიერებაა. იგი ვითარდება საკმარისი დინამიკურობით (რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში). იმყოფება რა მრავალი მეცნიერების პირაპირზე, ვალეოლოგია თავისი მეთოდოლოგიებით, პრობლემებით, მონაცემებით აიძულებს ამ მეცნიერებათა წარმომადგენლებს, ახლებურად შეხედონ თავიანთ, საკუთარ პრობლემებს. ამიტომ გასაკვირი როლია, რომ თვით ვალეოლოგიაში მიმდინარეობს შესამჩნევი დიფერენცირება. იგი ასახავს იმ მეცნიერთა ინტერესების სპეციფიკურობას, რომლებიც ვალეოლოგიაში მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან შემოვიდნენ.

ვალეოლოგიური განათლება იწყება ბავშვის დაბადებამდე. ეს გულისხმობს მშობლების ჯანმრთელობის ხარისხის გათვალისწინებას და გრძელდება ნაყოფის მუცლადყოფნის პერიოდის მთელი სიცოცხლის მანძილზე. ადამიანის განვითარების დინამიკურ პროცესში ჯანმრთელობის ფორმირებაში, შენარჩუნებაში და განმტკიცებაში დიდი როლი ენიჭება სამედიცინო და პედაგოგიურ ვალეოლოგიურ განათლებას, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ მშობლები, ექიმები, პედაგოგები და ზრდასრულ პერიოდში თვით კონკრეტული პიროვნება.

სამედიცინო და პედაგოგიური ვალეოლოგიისადმი სისტემური მიდგომა გულისხმობს ადამიანის ინდივიდუალური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით დარგობრივი პოზიციებიდან ინტეგრირებულზე გადასვლას და მათი შესაძლებლობების დადგენა-განსაზღ-



ვრას ჯანმრთელობისა და განათლების სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში.

სამედიცინო ვალეოლოგიადაგენს ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის არსებულ კლინიკურ განსხვავებებს და ახდენს დიაგნოსტიკას, შეისწავლის ჯანმრთელობის გარედან შენარჩუნებისა და დაავადებების აცილების ხერხებს, შეიმუშავებს მოსწავლე-ახალგაზრდების (მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების) ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმებსა და მეთოდებსორგანიზმის რეზერვული შესაძლებლობების გამოყენებისა და დაწვეული დაავადებების უკუგანვითარების პირობებში, იკვლევს იმ გარეგან და შინაგან ფაქტორებს, რომლებიც ჯანმრთელობას ემუქრება, შეიმუშავებს რეკომენდაციებს ადამიანის ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის უზრუნველსაყოფად.

რეაბილიტაციის სფეროში სამედიცინო ვალეოლოგიის შესაძლებლობები მალე შესამჩნევად გაიზარდება, რომლის დანერგვის პირობებში დღემდე მოქმედი დომინირებული საშუალებები-ფარმაცოლოგია, დანა და მყუდროებააუცილებლად შეიცვლება და უფრო მეტად იქნება გამოყენებული ფუნქციური მეთოდები და საშუალებები. მოსალოდნელია და სრულებით შესაძლებელია, ამან მიგვიყვანოს ცნებების „ჯანმრთელობა“ და „დაავადება“ გარკვეულ კორექტირებად. განსაკუთრებული მნიშვნელობა სამედიცინო ვალეოლოგიამ შეიძლება შეიძინოს ოჯახის ექიმების მომზადებაში, რომელთა მოდგაწეობა მეტწილად ორიენტირებული იქნება პირველად პროფილაქტიკაზე.

პედაგოგიური ვალეოლოგია შეისწავლის ადამიანის სწავლისა და აღზრდის საკითხებს, რომელთაც სხვადასხვა ასაკობრივ ეტაპზე აქვს ურყევი სასიცოცხლო მოთხოვნილება ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე. ამჟამად ვალეოლოგიის ეს მიმართულება ყველაზე დინამიკურად ვითარდება, რაც განპირობებულია შექმნილი ორი უკიდურესად რთული მდგომარეობით: 1. ეს არის საზოგადოების მოთხოვნილება ოპერატიულადგატარდეს ღონისძიებები ადამიანის გაჯანსაღებისათვის ყველაზე სწრაფი უკუგების შესაძლებლობების მიღების მიზნით; 2. შედარებით იაფად და სწრაფად მოხერხდეს ვალეოლოგიის პროგრამების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აღმოჩნდა მძიმე ფინანსურ და ეკონომიკურ პირობებში .

პედაგოგიური ვალეოლოგიის მეთოდოლოგია მოითხოვს სამედიცინო ვალეოლოგიასთან თანამშრომლობას. საერთო საკითხებია: ბავშვების აღზრდა ჯანმრთელობის მყარი მოტივაციით, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, რომლის საფუძველი უნდა იყოს პრიორიტეტული ცოდნის შექმნა ადამიანის ჯანმრთელობაზე და ორგანიზმის ცხოველმოქმედების მექანიზმებზე. სასწავლო პროცესში გამოყენებული უნდა იყოს ის-საშუალებები და მეთოდები, რომელიც მათ დაეხმარებათ თავიანთი ფიზიკური მდგომარეობის შესაფასებლად შეუქმნან მოტივაცია, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობები და შეინარჩუნონ საკუთარი ჯანმრთელობა გაჯანსაღების ბუნებრივი საშუალებების მეშვეობით. მოსწავლეთა სომატური ჯანმრთელობის შენარჩუნება პერიოდულად მოითხოვს ვალეოლოგიურ შეფასებასა და დინამიკურ კონტროლს. საჭიროების შემთხვევაში მედიკოსებმა და პედაგოგებმა ერთობლივად უნდა ჩაატარონ მოსწავლეთა გაჯანსაღების ღონისძიებები ფიზიკური ვარჯი-

შების, ფსიქოკორექციისა და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კონსულტაციების ჩატარების გზით. პედაგოგიური და სამედიცინო ვალეოლოგიის ერთობლივი პრინციპები გამოყენებული უნდა იქნეს მშობლებთან მუშაობისას, რათა ოჯახში ბავშვს ჰქონდეს ის კეთილსასურველი საყოფაცხოვრებო პირობები, რომელიც მას გონებრივ-ფიზიკურ ჯანმრთელობას შეუნარჩუნებს.

დღეს, სკოლებში დაინერგა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ( ფეხბურთი, კალათბურთი, ჭიდაობა, ცურვა და ა.შ.) ფიზიკური აღზრდის მეცადინეობები. ეს კი მოითხოვს მოზარდის ჯანმრთელობის მდგომარეობის პერიოდულ შემოწმებას, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი ორგანული გართულებები, ზოგჯერ სიკვდილიც კი. სპორტის სხვადასხვა სახეობაში არარაციონალურ ფიზიკურ დატვირთვას შეუძლია შექმნას რისკ-ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანდ შეარყევს მოზარდის ჯანმრთელობას. ჯანმრთელი თაობის აღზრდაში კი აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ ერთიანი მეცნიერული მიდგომით შეიარაღებული სახელმწიფო სტრუქტურები. ესენია: სპორტის, ჯანდაცვისა და განათლების სისტემები რაც საშუალებას მოგვცემს ვალეოლოგიური პრინციპების დაცვით შევინარჩუნოთ მოზარდი თაობის ჯანმრთელობა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ძლიერება. მეცნიერთა მიერ დადგენილია: ჯანმრთელობის რეზერვი უსაზღვრო არ არის, მაგრამ უმეტესად ადამიანებს ის არასაკმარისად აქვთ მობილიზებული ბავშვობაში, ხოლო „თვლემს“ მოწიფულ ასაკში, რის ადვილად ქრება სიბერეში. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ საჯარო სკოლებში ქმედითუნარიან ბავშვებთან ერთად სწავლობენ არაქმედითუნარიანი მოზარდები, რომელთა ფსიქო-ფიზიკური აღზრდის თავისებურებანი მოითხოვს ფაქიზ მიდგომას. ვალეოლოგიური (როგორც სამედიცინო, ასევე პედაგოგიური) პრინციპების ადეკვატური შერჩევა მიზანდასახული რეაბილიტაციური ღონისძიებების ჩატარების მიზნით აუცილებელია.

ამრიგად, ახალი მეცნიერების - ვალეოლოგიის საგანია ჯანმრთელი ადამიანი, მისი ჯანმრთელობის შენარჩუნება და არა დაავადებათა მკურნალობა (ეს მედიცინის საგანია).

პრაქტიკული მედიცინა, რომელიც „ეიფორიაშია“ მიღწეული წარმატებებით (ადრე განუკურნებელი დაავადების კომპენსატორული „გაჯანსაღებით“ ქირურგიული ჩარევით, მომაკვდავთა გადარჩენით) და მხოლოდ ამაში ხედავს თავის კეთილგონიერულ და კეთილშობილურ მისიას. არადა ამგვარი მიდგომა უკვე მოძველდა. დრო კი ცვალებადია. დღეს, სულ უფრო ხშირად და ბევრად მეტი იწერება იმაზე, რომ მედიცინასა და ჯანმრთელობას შორის არ შეიძლება გავავლოთ ურთიერთთანაბრობის ნიშანი. საჭიროა ხაზი გავესვას იმაზე, რომ მედიცინამ, როგორც მეცნიერებამ, ვერ შეასრულა თავისი მთავარი დანიშნულება: გაეწერა პრაქტიკისათვის თავისი ახალი მიზნების აღმოჩენითა და სასურველი მეცნიერული გზები შეერჩია ინდივიდუალური ჯანმრთელობის მისაღწევად; მან ჯერონად ვერ შეაფასა ჯანმრთელობისკენ მიმავალი პირდაპირი გზა.

ვალეოლოგიურ განათლებასა და ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ადამიანის მოძრაობის რეჟიმს. მინდა გავიხივარო ჩვენი თანამემამულის, ცნობილი კარდიოქირურგის ივარ შევცაბაიას მტკიცებულებანი: „ღარწმუნებული ვარ, რომ იდეალში მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებულმა ფიზიკურმა დატვირთვებმა- ყო-



ველეგარი წამლების გარეშე ხელი უნდა შეუწყონ ადამიანის გაჯანსაღებას, მის შესაძლებლობათა დიაპაზონის გაფართოებას და შემგუბლური, დამცველი „ბასტიონების“ გაძლიერებას. საწვრთნელი ვარჯიშები ყველასათვის აუცილებელია, მაგრამ დატვირთვა უნდა იყოს ადამიანის მდგომარეობის ადეკვატური. ზომიერი დატვირთვა სასარგებლოა როგორც ავადმყოფთათვის, რომელთა შემგუბლური შესაძლებლობანი ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად გაივლიან წვრთნას, ასევე ჯანმრთელებისთვისაც - ჯანმრთელობის განსამტკიცებლად და ბოლოს სპორტსმენთათვისაც, რათა კიდევ უფრო განავითარონ ისინი. ყოველივე იმალება დოზებში, ყველა ეტაპზე დატვირთვის თანდათანობით გადიდებაში, მოსვენება კი მუდმივი მტერია.“

დღეს მოსწავლე-ახალგაზრდების ჯანმრთელობის შესანარჩუნებელ ერთადერთ გზად მიჩნეულია ვალეოლოგიური განათლების (როგორც სამედიცინო, ასევე პედაგოგიური) სამეცნიერო პრინციპების სინთეზი და მისი პრაქტიკული გამოყენება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად.

იმ ქვეყნებში, სადაც ვალეოლოგია ახალი დარგის სპეციალისტებს ამზადებს, დღესაც მიმდინარეობს მძაფრი კამათი, თუ რომელ პროფესიას უნდა მიენიჭოს უპირატესობა სპეციალისტების მომზადებაში (მხედველობაში აქვთ სამედიცინო და პედაგოგიური პროფილის უმაღლესი სასწავლებლები). ეს მეთოდოლოგიური დავა არაპროდუქტიულად და სუბიექტურად გვეჩვენება. მსჯელობენ იმაზე, რომ ვალეოლოგი უნდა მომზადდეს უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში და მიეცეს ფართო ფსიქოპედაგოგიური განათლება ან პედაგოგიურმა უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა გამოუშვას სპეციალისტი, რომელსაც ექნება დამატებითი მიზნობრივი სამედიცინო მომზადება ახალი ფიზიოლოგიური ნორმატივებისა და პროფილაქტიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით. ვითვალისწინებთ რა მომავალში ვალეოლოგ-სპეციალისტის მომზადების ეფექტური მიმართულების პერსპექტივას, უპირატესობას ვანიჭებთ სპორტული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რადგან სხვათაგან განსხვავებით,

ისინი გადაიან ღრმა თეორიულ-პრაქტიკულ მომზადებას ფიზიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის მეთოდოლოგიაში, ზოგად და სპორტის ფიზიოლოგია-პედაგოგიაში, სპორტულ მედიცინაში, კინეზოთერაპიაში, ფიზიკურ რეაბილიტაციაში და ა.შ. ამასთანავე, რაც მთავარია, მათი აღზრუნება მიმართულია გონებრივ-ფიზიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევებისა და არა ავადმყოფების პრობლემებისაკენ.

ვალეოლოგიური დარგის განვითარება და მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება ბევრწილად არის დამოკიდებული ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვაზე, ბუნებისა და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა მანველებელზე. ჯანმრთელი გენოფონდის შენარჩუნება უნდა გახდეს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური სიმწიფის, კულტურისა და სახელმწიფო წარმატების სავიზიტო ბარათი.

**ლიტერატურა:**

1. დაავადების პათოგენეზისა და სანოგენეზის სისტემური ანალიზი / ივ. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედაგოგია. - თბილისი, 2013. - ISSN 1987-9865. - N15-10-9. - გვ.64-66. - რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენაზე
2. ვალეოლოგია (სანოლოგია-სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“ / ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედაგოგია. - თბილისი, 2013. - ISSN 1987-9865. - N15-10-9. - გვ.52-54. - რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენაზე - ლიტ. გვ.53
3. Фесенкова Л. В. (Институт философии РАН) Валеология и проблема здоровья россиян
4. Петленко В. П. Основы валеологии. Книга первая. 1998. - 433 с.
5. Циркин В. И. (КГМА) Ответ на статью «Валеология - религия XXI века, или третья волна духовной агрессии», опубликованную в журнале «Народное образование» (№ 1, 2001. С. 233—245).
6. Правда и ложь о Валеологии
7. Апанасенко Г. Л. Истоки и история возникновения валеологии

**რეზიუმე**

**მოზარდების ჯანმრთელობის მართვაში პედაგოგიური ვალეოლოგიისა და სანოლოგიის კრიტერიუმების მნიშვნელობა**

*პროფესორი ი. დოლიძე, პროფესორი ბ.ჩახუნაშვილი (თბილისი, საქართველო)*

ვალეოლოგიურ განათლებასა და ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ადამიანის მოძრაობის რეჟიმს. ვალეოლოგიური დარგის განვითარება და მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება ბევრწილად არის დამოკიდებული ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვაზე, ბუნებისა და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა მანველებელზე. ჯანმრთელი გენოფონდის შენარჩუნება უნდა გახდეს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური სიმწიფის, კულტურისა და სახელმწიფო წარმატების სავიზიტო ბარათი.

**SUMMARY**

**SIGNIFICANCE OF VALEOLOGY AND SANOLGY CRITERIAS IN ADULT HEALTH MANAGEMENT**

*Prof I.DOLIDZE, Prof. G.CHAKHUNASHVILI (Tbilisi, Georgia)*

Human motion regime plays significant role in Valeological education and health preserving. Development of Valeology and health improvement of population mostly depends on maintaining healthy life style, environment and every aspect of social-economic conditions. Preserving healthy population must be the guarantee of social-economic stability, cultural and governmental success.





თანამედროვე მედიცინა და სანოლოგია

ბ. ჩახუნაშვილი, იმ. დოქიმი (თბილისი.საქართველო)

მეცნიერული მედიცინის განვითარების გზა ასეთია: დაავადებათა წარმოშობის მიზეზებისა და მათი კლინიკური გამოვლინებების მარტივი დაკვირვებებიდან დაწყებული დამთავრებული მათი სტრუქტურული ნიშნების მაკრო-, მიკრო- და მოლეკულურდონეზე ჩატარებული გამოკვლევებით, რაც გვირგვინდება ზოგიერთი ბიოქიმიური და ფუნქციური დარღვევის კლინიკური გათვითცნობიერებით. ასე და ამგვარად, ისტორიულად ჩამოყალიბდა ეტიოლოგიური და პათოგენეზური მიმართულების კონცეფცია, რომელმაც თანამედროვე მედიცინაში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო დიდ წარმატებათა მიღწევას დაავადებათა მკურნალობაში (განსაკუთრებით ქირურგიაში) და პროფილაქტიკაში (განსაკუთრებით ინფექციურში). დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიმართულებით კლინიკური მედიცინის მიზნობრივმა ორიენტაციამ ბიჭვი მისცა პათოლოგიაზე აგებულ მეცნიერებათა განვითარებას. ამან ცუდი შედეგი გამოიღო: უყურადღებოდ დარჩა საღიადამიანის ჯანმრთელობის პრობლემური საკითხები. დღეს არსებული (“მკვლი”) ჯანდაცვის სისტემის მოდელის არსია ბრძოლა დაავადებების წინააღმდეგ და არა ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე ზრუნვა. თანამედროვე მედიცინა მრავალი მიზეზის გამო გახდა ჰოსპიტალური დარღვის ორგანიზაციული მიმართულების სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. ამას ხედისიც დაერთო, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობა ჯერ კიდევ არ განიხილება ქვეყნის ძირითად ფასეულობად და ჯანდაცვის სოციალურ სისტემას არ შეუქმნია “ჯანმრთელი ადამიანის ფსიქო-ფიზიკური მოდელი”. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, ორგანიზმის ფუნქციონირების ძირითადი პარამეტრების გადასინჯვა ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს. მხედველობაში უნდა გვქონდეს: გარემოს არასახარბიელო ცვლილებებს, ტექნოცივილიზაციასა და ორგანიზმის სხვა დამაზიანებელ ფაქტორებს ყოველწლიურად და დინამიკურად ძალუბს შეცვალოს ადამიანის ჰომეოსტაზის ნორმატიული ფიზიოლოგიური პარამეტრები. ორგანიზმის ნორმალური ცხოველმქმედების პირობების დადგენას კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დაავადებათა დიფერენცირებულ დიაგნოსტიკაში. ჰომეოსტაზიდან პათოლოგიური გადახრების ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი მანუვნებლების ობიექტური ათვლა ხელს შეუწყობს სწორ დიაგნოსტიკას და მიზანდასახული აღდგენითი ღონისძიებების შერჩევას. ყოველივე ამანკი უნდა აამაღლოს ორგანიზმის ადაპტირებისა და ჯანმრთელობის ხარისხი(1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12).

ზემოთქმულიდან გასაგებია: ეტიოლოგია და პათოგენეზი, როგორც ნოზოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილი, დღეს შედარებით კარგად არის შესწავლილი და სამკურნალო მედიცინაში ეტიოტროპულ და პათოგენეტურ მიმართულებათა გავრცობისა და განვითარების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან ერთად, ეს მიმართულება სრულყოფილად ვერ გადაჭრის ყველა იმ ამოცანას, რომლებიც დგას თანამედროვე მედიცინის

წინაშე და ვერ უზრუნველყოფს მედიცინის ყველაზე პერსპექტიული და სამომავლო დარგის – პროფილაქტიკური მიმართულების – სათანადოდ განვითარებას.

ცნობილია: დაავადებათა პროფილაქტიკა – ეს არის არა მარტო პათოგენური ფაქტორის აღმოფხვრა ან მისი შესუსტება, არამედ არანაკლები ხარისხით ე.წ. დაცვით-შეგუებითი აქტიურობის გაძლიერება, ე.ი. სანოგენეტური მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც ორგანიზმის მიერ გამოიყენება დამასნებოვნებელი გამლიზიანებლების წინააღმდეგ საბრძოლველად და გაჯანსაღების პროცესის განსახორციელებლად. უმრავლეს შემთხვევაში განსაკუთრებულ გამლიზიანებელს არ შეუძლია განახორციელოს ორგანიზმზე მისთვის დამახასიათებელი პათოგენური ზემოქმედება იმის გამო, რომ შესაბამისი სანოგენეტური მექანიზმების ამოქმედებით ხდება მისი გაუვნებელყოფა. ჯერჯერობით ორგანიზმის სანოგენეტური აქტივობა საკმარისია გარემოს მრავალი ფაქტორის ზემოქმედების მიმართ (მაგალითად, სიცხე, სიცხე, მზის რადიაცია, ფიზიკური დაძაბულობა და ა.შ.), მაგრამ იმავე გამლიზიანებელს და იმავე ძალის ზემოქმედებას შეუძლია, გამოიწვიოს ორგანიზმის მიმე პათოლოგიური ცვლილებები, თუ დასუსტებულია სანოგენეტური მექანიზმები. ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ: პირველი, დაავადების წარმოშობას წინ უსწრებს სანოგენეტური შემუშებლური აქტივობის მნიშვნელოვანი დაქვეითება; მეორე, სხვადასხვანაირი დაავადების თავიდან აცილების ერთ-ერთი მთავარი საშუალება არის ორგანიზმის სანოგენეტური აპარატების სტიმულირება.

სანოგენეზის პრობლემის გადაწყვეტა დღეს საწყის ეტაპზე. როგორცა ჩანს, ეს იმით აიხსნება, რომ პათოგენეზისა და სანოგენეზის წინააღმდეგობრივად და სპირისპიროდ მიმართული პროცესების სპეციფიკური ჩამოყალიბებული წარმოდგენა ჯერ კიდევ არა გვაქვს. ყოველივე ეს ერთმთლიანობად ხდის დაავადების პათოგენეზის ცნებას. არსებობს მეცნიერული ხასიათის დავა პათოგენეზისა და სანოგენეზის დამოუკიდებელი შესწავლის შესახებ, თითქოსდა იგი ერთიანი, გაყოფადი პროცესია. ეს თვალსაზრისი არამართლზომიერი და არათანმიმდევრულია. აქედან გამომდინარე, მიუღებელია დებადი, რომ დაავადების ერთიანი პროცესი უნდა დაიყოს სხვადასხვა პერიოდად. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მოგვიწევდა სასიცოცხლო პროცესის გაყოფა ნორმად და პათოლოგიად, რადგან თვით ორგანიზმის სიცოცხლეში ჩადებულია სიკვდილის ელემენტები.

თუ სამართლიანად ვადიარებთ მტკიცებულებას, რომ დაავადება არის ნებისმიერი მდგომარეობა, რაც სიკვდილის ალბათობას ზრდის, მაშინ ჯანმრთელობა არის ის ნებისმიერი მდგომარეობა, რაც სიცოცხლის ალბათობას ზრდის. ან სხვანაირი განმარტებით: ჯანმრთელობა არის სიცოცხლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, ხოლო დაავადება – სიკვდილთან მიახლოების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი.



ნი. ჯანმრთელობა არის ორგანიზმის ცხოველმყოფელებისა და კვდომის პროცესის დიალექტიკური ერთიანობა, მათი თანაარსებობა განსაზღვრული პირობების საზღვრებში.

დაავადების პათოგენეზი და სანოგენეზი უწყვეტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მათი ურთიერთმოქმედებისა და ბრძოლის დიალექტიკა განსაზღვრავს დაავადების ხარისხობრივ და რაოდენობრივ თავისებურებებს, მისი განვითარების დინამიკას, აგრეთვე დაავადების ამბ თუ იმ გამოსავალს – გამოჯანმრთელების ან კვდომის პროცესისკენ მიმართულს. “დაავადების პათოგენეზის” ცნება მოიცავს პროცესებსა და მექანიზმებს, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზმის ამბ თუ იმ ფიზიოლოგიური მექანიზმის დაზიანებებთან – ეს იქნება ფუნქციური თუ სტრუქტურული ხასიათისა. წარმოშობილი “მსხვრევა” დაავადების ამ ნიადაგზე განვითარებული ინიციალური ფაქტორია. სანოგენეზი თავისთავად წარმოადგენს ორგანიზმის ზოგი დაცვით-შეგუებით პროცესის მობილიზაციას და მათ ამოქმედებას, რაც მიმართულია ორგანიზმში წარმოშობილი დაზიანების ასაცილებლად ან აღსადგენად ან შესანაცვლებლად. ეს კი ნიშნავს დაავადებიდან გამოსვლას – გამოჯანმრთელებას.

დაავადების არსის თანამედროვე გაგებიდან გამომდინარე, მეცნიერები პათოგენეზსა და სანოგენეზს ასე განსაზღვრავენ:

პათოგენეზი – ეს არის ორგანიზმის თვითრეგულაციის დარღვევის დინამიკური კომპლექსი, რომელიც ვითარდება ფუნქციური ან სტრუქტურული დაზიანების ნიადაგზე შესაბამისი რეფლექტორული აპარატების ზეჭარბი გაღიზიანების შედეგად;

სანოგენეზი – ეს არის დაცვით-შეგუებითი მექანიზმების დინამიკური კომპლექსი (ფიზიოლოგიური ან პათოფიზიოლოგიური ხასიათისა), რომელიც წარმოიშობა და ვითარდება ზეჭარბი გამღიზიანებლის ზემოქმედების შედეგად დაავადების მიმდინარეობის მთელ პროცესში (დაავადების წინა მდგომარეობიდან გამომდინარე) და მიმართულია ორგანიზმის დარღვეული თვითრეგულაციის აღსადგენად.

სანოლოგია (სამედიცინო ვალეოლოგია) არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სადი ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის თეორიასა და პრაქტიკას, ინდივიდუალური ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და აღდგენას, ადამიანის ორგანიზმში დარღვეული ფუნქციების აღდგენითი პროცესების მექანიზმებს – დაავადებებიდან, ტრავმებიდან და სხვა პათოლოგიური მდგომარეობებიდან გამოსავლის გზებს.

სანოლოგიას – ამ საექიმო დისციპლინას – 15 წლის ისტორია აქვს, ხოლო ტერმინი 40 წლისაა. სამწუხაროდ, პრაქტიკულად მედიკოსები მის შესახებ მწირე ინფორმაციას ფლობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა სანოლოგ-სპეციალისტების მოთხოვნის დრო, თუმცა გასული საუკუნის 30-იან წლებში, ასევე 50-60-იან წლებში უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა აეიაციის, კოსმონავტიკის, წყალქვეშა ფლოტის, სპეცსამსახურების, დიდი სპორტის არსებობა და განვითარება.

ექიმი-სანოლოგის პროფესია აღიარებულია უკრაინის ჯანდაცვის სისტემაში და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს მოსახლეობის ჯანმრთელობის განმ-

ტკიცებაში. 1992 წელს კიევის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში გაიხსნა სპორტული მედიცინისა და სანოლოგიის კათედრა (გამგე, პროფ. გ. ლ. აპანასენკო). სანოლოგიის ციკლის ხელმძღვანელია – პროფ. ლ. ა. პოპოვა. ეს გახდა მსოფლიოში პირველი კათედრა, რომელიც ამზადებს ექიმ-სანოლოგებს (ვალეოლოგებს) და გასცემს შესაბამის სერტიფიკატს. სამწუხაროა, რომ ამ დარგის სპეციალისტების შესახებ უმადლეს სამედიცინო სასწავლებლებში მოიპოვება მწირი ინფორმაცია, და, ამასთან ერთად, არ ისწავლება სანოლოგია, როგორც აუცილებელი და დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა.

პრაქტიკოსი ექიმი ავადმყოფს იშვიათად კურნავს, რადგან მისი ცოდნის საფუძველია მცდარი მატერიალისტური იდეოლოგია – ბრძოლა დაავადებების წინააღმდეგ და არა ბრძოლა ადამიანის ჯანმრთელობის დასაცავად. სანოლოგია ისევე, როგორც პათოლოგიური ფიზიოლოგია, უნდა ისწავლებოდეს უმადლეს სამედიცინო სასწავლებლებში, რადგან ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და ავადმყოფთა განკურნებაში დიდი როლი ენიჭება დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროულ და ეფექტურ ამოქმედებას, რაც მიმართული იქნება ორგანიზმში დარღვეული ფიზიოლოგიური პროცესებისა და შრომისუნარიანობის აღსადგენად, ორგანიზმის შემგუებლობის გასაძლიერებლად; დაავადების განვითარების ანალიზის დროს უმეტესად პათო-და სანოგენეტურ ეფექტებს არ იღებენ მხედველობაში.

სანოგენეზი სპეციფიკური პროცესია, რომელშიც მონაწილეობს დაცვით-შეგუებითი მექანიზმების მთელი კომპლექსი და მეტაბოლური, გამომყოფი, იმუნური, რეპროდუქტიული და სხვა ხასიათის რეაქციები. ყოველივე ეს კი ორგანიზმს იცავს დაავადების განვითარებისაგან. სანოგენეტური ტიპის რეაქციები დაკავშირებულია ორგანიზმის საწყის მდგომარეობასთან, ასახავს მისი ზოგადი რეაქტიულობის თავისებურებებს და შეიძლება წარმოიშვას არამართო გამოხატული პათოლოგიის დროს, არამედ იმ შემთხვევებშიც, როცა ზეჭარბი გამღიზიანებელი ჯერ კიდევ არ იწვევს ორგანიზმის “მსხვრევას” და შესაძინე ავადმყოფურ ეფექტს. სანოგენეზის ეს ელემენტები დამახასიათებელია “დაავადების წინა მდგომარეობისათვის.” პათოგენური ფაქტორის ზემოქმედებისას სანოგენეტური მექანიზმები (და ამით ის განსხვავებულია პათოგენეზის მექანიზმებისაგან) პირველივე წუთებიდანვე ერთვება ბრძოლაში “მტრის მოსაგერიებლად” (ი. პავლოვი). ამიტომ სანოგენეტური მექანიზმების სრულყოფილება და აქტიურობა განაპირობებს დაავადების განვითარების შესაძლებლობას ან კიდევ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ორგანიზმის დაავადებისადმი შეუვალობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პათოგენეზის პროცესი დამახასიათებელია მხოლოდ პათოლოგიისათვის და გამოიხატება ორგანიზმში წარმოშობილი დაზიანებების “მსხვრევების” შედეგის სახით; სანოგენეტური რეაქციები კი დამახასიათებელია როგორც ავადმყოფი, ისე ნორმალური ორგანიზმისათვის. ამასთანავე, მათ საფუძვლად უდევთ განსაკუთრებულად დინამიკური მექანიზმები და აქვთ არამართო ფიზიოლოგიური და ფუნქციური, არამედ პათოფიზიოლოგიური და სტრუქტურული ხასიათი.



პრაქტიკულ მედიცინაში სანოგენეტიკური და პათოგენეტიკური რეაქციების დიფერენცირება ადვილი საქმე როდია. საამისოდ აუცილებელია ღრმა კლინიკური ცოდნა და დაავადების განვითარების დინამიკის გათვალისწინებით მისი შესაბამისი პათოფიზიოლოგიური გამოკვლევა; ამ ამოცანის სრულად გადაწყვეტა შესაძლებელია სამედიცინო მეცნიერების თანამედროვე დონის პირობებში, ოღონდ საჭიროა პრობლემისადმი სახელმწიფოებრივი ყურადღების გამოჩენა. სანოგენეტიკური რეაქციების სტიმულაციისა და პათოგენეტიკური რეაქციების დამუხრუჭების მეთოდების ცოდნის დაგროვებით შესაძლებელი გახდება ადამიანის სხვადასხვა დაავადების ეფექტური მკურნალობა. ეს კი მედიცინის შემდგომი განვითარების ბუნებრივ გზადაა მიჩნეული. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია სანოგენეზის პრობლემამ მიიპყროს ექიმებისა და მეცნიერ-მუშაკების, ფართო მასების ყურადღება. ამ პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს, გამოვავლინოთ სანოგენეზის ძირითადი მექანიზმების წამყვანი კანონზომიერებანი, რაც გახდება მედიცინაში ახალი, სანოგენეტიკური, მიმართულების დაფუძნების ეტაპი. ეს კი როგორც სამკურნალო, ისე განსაკუთრებით პროფილაქტიკური მედიცინის უდიდესი შენაძენი იქნება.

**ლიტერატურა:**

1. ვალეოლოგია (სანოლოგია-სამედიცინომიმართულება), როგორც "ჯანმრთელობის მედიცინა" / ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2013. – ISSN 1987-9865. - N15-10-9. – გვ.52-54. – რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენაზე. - ლიტ. გვ.53
2. დაავადების პათოგენეზისა და სანოგენეზის სისტემური ანალიზი / ივ. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2013. – ISSN 1987-9865. - N15-10-9. – გვ.64-66.

**რეზიუმე**

**თანამედროვე მედიცინა და სანოლოგია**

**ბ. ჩახუნაშვილი, ივ. დოლიძე**  
(თბილისის საქართველო)

**ივორ დოლიძე**  
პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

მნიშვნელოვანია სანოგენეზის პრობლემამ მიიპყროს ექიმებისა და მეცნიერ-მუშაკების, ფართო მასების ყურადღება. ამ პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს, გამოვავლინოთ სანოგენეზის ძირითადი მექანიზმების წამყვანი კანონზომიერებანი, რაც გახდება მედიცინაში ახალი, სანოგენეტიკური, მიმართულების დაფუძნების ეტაპი. ეს კი როგორც სამკურნალო, ისე განსაკუთრებით პროფილაქტიკური მედიცინის უდიდესი შენაძენი იქნება.

**SUMMARY**

**MODERN MEDICINE AND SANOLOGY**

**GCHAKHUNASHVILI, I.DOLIDZE**

It's essential that Sanogenesis draws attention of doctors, Scientists and entire population. Complexly solving this problem will be an opportunity for us to display the leading mechanisms of Sanology, which will be the beginning stage of new, Sanogenetic field foundation. And this will be one of the greatest acquisitions for not only medical treatment, but for prevention of illness.





# სპორტის, მედიცინისა და განათლების ერთიანი მენიერული მართვის საკითხი.

## ინტეგრალური მენიერების აუდიტოლოგია

ბ. ჩახუნაშვილი

ვერომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის თავმჯდომარე  
23.04.2015. თბილისი საქართველოს პარლამენტი.11.00.

შედეგ კომიტეტების გაფართოებული სხდობა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების მონაწილეობით. აქტიურად განიხილებოდა ერთ-ერთ საკითხად სპორტის, მედიცინისა და განათლების ერთიანი მეცნიერული მართვის საკითხი.



ვერომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ძირითადი კურსია ბავშვთა და მოზარდთა უსაფრთხოება მეცნიერული გზით – მედიცინის, განათლებისა და სპორტის მეცნიერული მართვა.

ზუსტმა სამედიცინო სტატისტიკამ, სამედიცინო უმაღლესმა ტექნოლოგიებმა და თანამედროვე კომპიუტერულმა სისტემამ უნდა განაპირობოს მსჯელობა ბავშვთა და მოზარდთა უსაფრთხოებაზე. მეცნიერების განვითარება უნდა ეყრდნობოდეს ბიოეთიკურ ნორმებს. იგი უნდა განისაზღვრებოდეს სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გარემოსთან ერთად.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა მედიცინის, სპორტის

სა და განათლების სისტემაში ბავშვთა და მოზარდ სპორტსმენთა მეცნიერული მართვის მოდელის შექმნა.

მეთოდიკა და მასალა. გაანალიზებულია სოციალური პედაგოგიის დაცვის ფონდის მიერ 1998-2015 წლებში 95 ათასი სხვადასხვა რეგიონში კონსულტირებული და პედაგოგიულ კლინიკებში გამოკვლეული ბავშვების და მოზარდების მონაცემები. ამასთან ერთად გამოყენებულია ამ წლებში ჩვენს მიერ შესრულებული სხვადასხვა საგრანტო პროგრამების მონაცემები, რომლებიც მოიცავს ანამნეზს, კლინიკო-ლაბორატორიულ და ინსტრუმენტული კვლევების შედეგებს.



შედგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიღებული მონაცემების შედეგად აუცილებელი გახდა მსჯელობა:

- რეგიონის საერთო სიტუაციაზე;
- მოსალოდნელ სიცოცხლის ხანგრძლივობასა და სიკვდილიანობაზე;
- მოსალოდნელი ჯამრთელი ცხოვრების ხანგრძლივობაზე;
- აუცილებელია საკანონმდებლო ბაზით რეგულირდებოდეს:

ა) ბავშვთა, მოზარდთა ( მოყვარულთა, პროფესიონალთა) დატვირთვის მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები (ჯანმრთელობის ცნობაზე დაყრდნობით.

ბ) სპორტში ჩაბმისათვის ადმინისტრატორებსა და ბენეფიციარებს, ან მათ მეურვეებს, შორის აუცილებელი იურიდიულად გამართული ხელშეკრულებების გაფორმება, ასაკის და სპორტის სახეობის შესაბამისად.

- მომზადდეს სპორტსმენთა დატვირთვის, კვების, ორგანოთა ფუნქციების და უფლებათა დაცვის სრულყოფილი ეროვნული კონცეფცია. სრულყოფილება განიცადოს მრავალმხრივად და სპორტის მეცნიერული მართვის შემუშავებულმა ეროვნული კონცეფციამ, /ჯანმრთელ თაობებზე ზრუნვა/-ჯ.თ.ხ. ბათუმი-2010

რომლის ძირითადი მიზანია:

საქართველოს სპორტულ ფედერაციებთან ანალიტიკური ცენტრებისა და სამეცნიერო-მეთოდური საბჭოების შექმნა, სტრატეგიულ ეროვნული კონცეფციის სწრაფი განხორციელებისათვის.

მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

\* სამედიცინო და სპორტული მეცნიერების კონსოლიდაცია, თანამედროვე სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოების გამოცემის უზრუნველყოფა;

\* საქართველოს ნაკრებ გუნდებთან, პროფესიულ და სამოყვარულო კლუბებთან კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფების ფორმირება;

\* დოპინგ-კონტროლის ერთიანი კომპლექსური სისტემის შექმნა შეჯიბრებების და სამწვრთნელო პროცესის ყველა დონეზე;

\* კურსების ორგანიზება და ჩატარება საბავშვო და მოზარდთა სპორტული სკოლების მასწავლებლების და სპეციალისტების ინფორმირების მიზნით დოპინგის პრობლემების და დოპინგის გამოყენების შედეგების შესახებ;

\* წიგნების, მეთოდური მითითებების, სახელმძღვანელოების, ჟურნალების და ა.შ. გამოცემის პერსპექტიული გეგმის მომზადება და რეალიზაცია;

\* ყოველწლიური საერთაშორისო და რეგიონული სამეცნიერო და მეთოდური კონფერენციების ჩატარება;

\* საქართველოს ნაკრები გუნდების, პროფესიული და მოყვარულთა კლუბების უზრუნველყოფა თანამედროვე უცხოური სამეცნიერო-მეთოდური და სამედიცინო-ბიოლოგიური ინფორმაციებით

### აუცილებელია:

1. სპორტსმენთა კლინიკო-ფსიქოლოგიური სარეაბილიტაციო და დაავადებათა პრევენციის ცენტრების მშენებლობა (ქ. თბილისი, ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი და ა.შ.)

### მიზანი:

\* სპორტსმენებზე სამედიცინო კონტროლის გაუმჯობესება;

\* სასწავლო – სამწვრთნელო შეკრებების და შეჯიბრებების ეტაპზე მედიცინის თანამედროვე მიღწევების გამოყენება;

\* ახალგაზრდა და პროფესიონალი სპორტსმენების ტრავმების დროული რეაბილიტაცია; სპორტსმენთა დაავადებათა პრევენცია.

\* რომელთა მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

\* ქ. თბილისში, ქ. ბათუმი და ა.შ. ტერიტორიის გამოყოფა სარეაბილიტაციო ცენტრების მშენებლობისათვის;

\* არასპორტული ორგანიზაციების და სახელმწიფო ინვესტიციების მოზიდვა;

\* სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის ევროპულ ქვეყნებში სამედიცინო პერსონალის გადამზადება.

2. სპორტსმენთა კვება საქართველოში სპორტსმენთა კვების (ვიტამინებით, მინერალებითა და ამინომჟავებით გამდიდრებული) პროდუქტების წარმოების განვითარების პროგრამის შექმნა და სწრაფი ამოქმედება

3. სპორტსმენთა სოციალური სტატუსის ამაღლება, სოციალური პროგრამების რეალიზაცია, ვეტერანებზე ზრუნვა

### მიზანი:

\* სახელმწიფოს წინაშე მდგარი სოციალური ამოცანების სპორტის საშუალებით გადაწყვეტა, ინვალიდებისათვის, ნაკლებ შემოსავლიანი ოჯახების შვილებისათვის დახმარების აღმოჩენა. ფეხბურთის ვეტერანებზე ზრუნვა. შეკრებების და შეჯიბრებების პერიოდში დახმარებული სოციალური დაცვის სისტემის შექმნა, როგორც მოქმედი სპორტსმენებისთვის, ასევე ვეტერანებისთვის.

მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

\* საქართველოს სპორტული ფედერაციის სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტების გამომუშავება;

\* სხვადასხვა კატეგორიის დახმარებული სპორტსმენებისათვის, მწვრთნელებისა და მსაჯებისათვის მომსახურების გაწევის მოქმედი სისტემის შექმნა შეკრებებისა და შეჯიბრებების პერიოდში;

\* „სპორტსმენთა ვეტერანის სტატუსის“ დებულების შემუშავება;

\* საქართველოს სპორტული ფედერაციის ვეტერანებისათვის სოციალური დაცვის მომსახურების სისტემის შექმნა კანონების და ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ჩარჩოებში და უზრუნველყოფის სახეობების ჩამონათვალი, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ყოველწლიური ხელახალი განხილვა;

\* პროგრამის და მოძრაობა «Olympic Special» მხარდაჭერა;

\* ვეტერან სპორტსმენებზე მზრუნველი საზოგადოებრივი სამეურვეო ფონდებისათვის და სხვა ვორგანიზაციებისათვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

\* იმ ორგანიზაციებისათვის შეძლებისამებრ დახმარებისა და მხარდაჭერის აღმოჩენა, რომლებიც დაკავებული არიან ახალგაზრდა თაობაში ნარკოტიკების მოხმარებასთან ბრძოლით, სხვადასხვა კატეგორიის ინვალიდების რეაბილიტაციით და ადაპტაციით, მცირე შემოსავლიანი ოჯახების ბავშვებისათვის, ობლებებისთვის სპორტული ღონისძიებების ჩატარებით;

4. დაზღვევის სისტემატიზაცია

### მიზანი:

\* დაზღვევის სისტემის შექმნა. საქართველოს სპორტული ფედერაციებისათვის, სპეციალიზებული სპორტული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. სა-



ვალდებულ დაზღვევის ერთიანი სტანდარტის შექმნა.

მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

\* ყველა ღონის ნაკრები გუნდების დაზღვევის ერთიანი სტანდარტის მოდელის შემუშავება სამწვრთნელო პროცესის და შეჯიბრებების პერიოდში;

\* ნებაყოფლობითი დაზღვევის ოპტიმალური ფორმების და სახეობების განსაზღვრა;

\* საკმარისი რისკების ჩამონათვალის (სტანდარტის) განსაზღვრა სადაზღვევო კომპანიებისათვის;

\* ნებაყოფლობითი დაზღვევის დებულების პროექტის შემუშავება სპორტსმენთა ნაკრებ გუნდებში სასწავლო შეკრებებსა და შეჯიბრებებზე გაწვევის პერიოდში, უფლებამოსილებების გადანაწილება დამსაქმებლებთან ნებისმიერი სირთულის ტრავმების მიღების შემთხვევაში;

\* საქართველოს სპორტულ ფედერაციათა სისტემაში ღონისძიებების გატარების პერიოდში მოსწავლეთა დაზღვევის სისტემის შემუშავება;

\* დაზღვევის კონტროლისა და მონიტორინგის სისტემების შექმნა;

\* დაზღვევის პრობლემებზე სასწავლო რეგიონული სემინარების ჩატარება;

სტრატეგიის რეალიზაციისა და მიზნის მისაღწევი ღონისძიებებს წარმოადგენს:

\* სამართლებრივი გარდაქმნების პროგრამები;

\* ორგანიზაციული გარდაქმნების პროგრამები;

\* ეკონომიკური გარდაქმნების პროგრამები.

– პროგრამების შემადგენელი ღონისძიებების ნაწილი არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან, ანუ მათ რეალიზაციაზე არ არის სერიოზული მოთხოვნა საქართველოს ფედერაციათა ბიუჯეტის დამატებით საშუალებებზე, ხოლო ეროვნული კონცეფციის სტრატეგიული ღონისძიებების სხვა ნაწილი სოლიდურ ინვესტიციებს მოითხოვს.

– საქართველოში უნდა გამოიყვანოს განსაკუთრებული მიდგომა სოციალურად მნიშვნელოვანი სპორტულ სახეობათა შენარჩუნებისათვის და განვითარებისათვის.

– რეალური შედეგების მისაღწევად და გატარებულ ღონისძიებათა სათანადო კონტროლის გასაწევად აუცილებელია შემუშავდეს ინდივიდუალური პროგრამები, რომელიც შეიცავს სტრუქტურულ – სამართლებრივ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ფინანსურ-ეკონომიკური ცვლილებების კომპლექსს. მთელი ეს სამუშაო ორგანიზებული იქნება საქართველოს სპორტულ ფედერაციათა მიერ და მათი კონტროლით განხორციელდება.

**ამდენად,**

1. ა) საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივი ჩაბმის ერთიან ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმაში ჯანდაცვის, განათლებისა და სპორტის სამინისტროთა, მეურთა დეპარტამენტთა და პარლამენტის კომიტეტთა ერთობლივი მონაწილეობის აღიარებისა და მისი განვითარების მხარდაჭერის აუცილებლობა.

ბ) ვალდებულების განვითარება

2. სკოლებში ამ ეტაპზე /შემდგომში კი ბავშვბავშვში/ საქველმოქმედო საქმიანობის მძლავრად ამოქმედება,

**აუცილებელია:**

ა) საქველმოქმედო სტრატეგიის შესრულებასა და კონკრეტული წინადადებების სწრაფი შემუშავება,



ბ) დებულების შემუშავება საქველმოქმედო საქმიანობის შესასრულებლად

– ჯანდაცვის სამინისტრო:

• საქველმოქმედო კაბინეტის სტრუქტურის განსაზღვრა

• გზამკვლევა შექმნა

• სპეციალისტთა გადამზადებისა და მომზადების უშუალო შესრულება

• საქველმოქმედო საქმიანობის მონიტორინგი

– სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამიწისტრო:

• სპეციალისტების მოთხოვნის განსაზღვრა

• სპორტის ექიმების

• ფიზიოთერაპევტების

• მეთოდისტების და ა.შ.

– განათლების სამინისტრო:

• სპეციალისტთა გადამზადებისა და მომზადების უშუალო სტრატეგიის შექმნა.

• სკოლებსა და ბავშვბავშვში საქველმოქმედო საქმიანობის აღდგენა.

ამასთან ერთად, სასწრაფოა საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებსა და აღმასრულებელ ორგანოების პროექტში ერთობლივი ჩაბმის აუცილებლობით გამოწვეული ერთიანი მმართველობითი საინიციატივო ჯგუფის შექმნა, რომელიც ბოლომდე მიიყვანს რთულად შესასრულებელ საორგანიზაციო საქმიანობას.

**შედეგი ეტაპი:**

- 1. პროექტში ერთობლივი ჩაბმის აუცილებლობით გამოწვეული ერთიანი მმართველობითი საინიციატივო ჯგუფის შექმნა, რომელიც განახორციელებს და უზრუნველყოფს ძალზედ რთულად წარსამართ საორგანიზაციო საქმიანობას
- 2. სტრატეგიის განსახორციელებელი პროგრამების შექმნა, განხილვა და უმოკლეს ვადაში მათი შესრულება

**მოსალოდნელი შედეგი:**  
ჯანმრთელი თაობების აღზრდაში მედიცინის, სპორტის და განათლების მეცნიერული მართვით ჯანსაღი ცხოვრების წესში ორგანოთა ფუნქციების მაჩვენებლების გაუმჯობესება და მათი კვალიფიციური მონიტორინგი

**აქტიუბის შენელება**

- არ იქნება, არც შეიძლება,
- დრო არ ითმენს,
- თანამშრომლობისათვის უღრმესი მადლობა.
- პროფ. ბ. ჩახუნავაშვილი
- 2015წ.





ლიტერატურა:

1. **სამაგიდო წიგნი ექიმებისათვის:** საექიმო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები / [რედ.: გოგა ჩახუნაშვილი]. – თბ. : [ბონა კაუზა], 2001. – 164გვ. ; 20სმ. – ISBN 99928-844-44 :

2. **სამაგიდო წიგნი ექიმებისათვის:** რა უნდა იცოდეს ექიმმა : ცვლილებებითა და დამატებებით 2006 წლის 25 ნოემბრამდე / [რედ. გოგა ჩახუნაშვილი]. – თბ. : [ბონა კაუზა], 2006. – 298გვ. ; 20სმ.

3. **გაუფრთხილდი ხერხემალს /** თსსუ ; [შემდგ.: რ. სვანიშვილი, ნ. ჭაბაშვილი, გ. ჩახუნაშვილი [და სხვ.] ; რედ. გ. ელიავა]. – თბ. : [გეორგიკა], 2010. – 63გვ. ; სურ. ; 20სმ. – ISBN 978-9941-0-3047-5

4. **რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა გამაჯანსაღებელი ფიზიკური ვარჯიშების შესახებ /** [ავტ.: რ. სვანიშვილი, ნ. ჭაბაშვილი, ზ. სოფრომაძე [და სხვ.] ; რედ. გ. ელიავა] ; თბილ. სახელმწ. სამედ. უნ-ტი. – თბ. : [გეორგიკა], 2011. – 60გვ. ; 19სმ. – ბიბლიოგრ.: გვ. 59. - ISBN 978-9941-0-3360-5

5. **სამაგიდო წიგნი ექიმებისათვის:** რა უნდა იცოდეს ექიმმა : ცვლილებებითა და დამატებებით 2005 წლის 1 ივლისამდე / რედ. გოგა ჩახუნაშვილი. – თბ. : ბონა კაუზა, 2005. – 254 გვ.;

6. **საქართველოს ეკონომიკის, მეცნიერების და გა-**

**ნათლები სპარმონიული განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები (ფარმაცია, ბიომედიცინა, მედიცინადასპორტი) კონცეფცია /** გიორგიჩახუნაშვილი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2014. – ISSN 1987-9865. - N16-11-10. – გვ.56-62. – ორიგინალურის ტატიები და სამეცნიერო აქტიობები. – რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენაზე

7. **დაავადების პათოგენეზისა და სანოგენეზის სისტემური ანალიზი /** ივ. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2013. - ISSN 1987-9865. - N15-10-9. – გვ.64-66. – რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენაზე

8. **ვალეოლოგია (სანოლოგია-სამედიცინო მიმართულება), როგორც “ჯანმრთელობის მედიცინა” /** ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი // სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2013. – ISSN 1987-9865. - N15-10-9. – გვ.52-54. – რეზიუმე ქართ. და ინგლ. ენაზე. – ლიტ. გვ.53

7. Истоки и история развития валеологии (из книги «Медицинская валеология»)

8. Фесенкова Л. В. (Институт философии РАН) Валеология и проблема здоровья россиян

9. Петленко В. П. Основы валеологии. Книга первая. 1998. - 433 с.

რეზიუმე

სპორტის, მედიცინისა და განათლების ერთიანი მენეჯერული მართვის საკითხი. ინტეგრალური მენეჯერების აუცილებლობა

ბ. ჩახუნაშვილი (ვერომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია)

ნაშრომშია ასახულია ვერომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ძირითადი კურსი ბავშვთა და მოზარდთა უსაფრთხოება მეცნიერული გზით, კერძოდ კი მედიცინის, განათლებისა და სპორტის მეცნიერული მართვა.

SUMMARY

COMBINED SCIENTIFIC GOVERNING OF SPORTS, MEDICINE AND EDUCATION SIGNIFICANCE OF INTEGRATED SCIENCE

G.CHAKHUNASHVILI (Georgian National Section of Euroscience)

Topics that are mentioned in this work: The main course of Georgian National Section of Euroscience, securing safety of children and adults through science; Also – scientific governing of sports, medicine and education.

რესპირატორული ვირუსული ინფექციების გავრცელების თავისებურებები ქ. თბილისის საბავშვო ბაღებში და საჯარო სკოლებში და მათი პრევენციული ღონისძიებები

ა.ვ. კვეციანი-ძე, ჯ. სირაძე. (თბილისის საქართველო)

ყველა ბავშვი თავის ცხოვრების ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუდმივად იმყოფება აღმზადებლობითი სახის დაწესებულებაში, როგორც არის საბავშვო ბაღები და საჯარო სკოლები. ბუნებრივია ასეთ დაწესებულებებში, სადაც თავშეყრილია ბავშვების დიდი რაოდენობა, გამორიცხული



არ არის მუდმივი ინფექციური კერების არსებობა. ეს კი თავის რიგად ძლიერ დამორტყვნილ პროცესებს იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ირღვევა ფიზიკური ჯანმრთელობა. ზიანდება ორგანიზმის სისტემები და ორგანოები, ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა, ფსიქიკური სფეროს მდგომარეობა, ქცევითი ჯანმრთელობა, ადამიანის მდგომარეობის ქცევითი ადექვატურობა და ურთიერთობის უნარი.

ბავშვთა კოლექტივებში ვირუსული ინფექციების გავრცელება სეზონურ ხასიათს ატარებს და ძირითადად შემოდგომა ზამთრის პერიოდისთვის არის დამახასიათებელი.

თუ ჩვენ გვინდა ნორმალურად წავმართოდ ბავშვის აღზრდის პროცესები პირველ რიგში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ დაწესებულებებში როგორი ღონისძიებები ტარდება ამ ინფექციების შემცირებისთვის.

თუნდაც დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველოს დიდ ქალაქები საბავშვო ბაღების ქსელის დიდ ნაკლებობას განიცდის. ქ. თბილისის დღეისთვის 20 000-მდე საბავშვო ბაღის ადილი აკლია. ეს მდგომარეობა თავის რიგად იწვევს სხვა ბავშვთა ბაღების გადატვირთვას, ირღვევა სწავლების და აღმზრდელობითი პროცესების მიმდინარეობა, ჰიგიენური და ინფექციებისადმი ბრძოლის ღონისძიებების გატარების შესაძლებლობები და სხვა.

ვინ უნდა იზრუნოს ინფექციების ეპიდლონისძიებების გავრცელების საკითხზე? თუ არა სამედიცინო პერსონალმა, რომელიც საუბედუროდ საბავშვო ბაღებში დღემდე გათვალისწინებული არ არის.

როგორც იქნა ამ ბოლო დროს დიდი ბრძოლის შედეგად საქართველოს 100 სკოლაში გამოიყო ექიმის საშტატო ერთეული, რისთვისაც დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ განათლების და ჯანდაცვის სამინისტროებს ასეთი საჭირო ღონისძიების გატარებისთვის. აღნიშნულ საშტატო ერთეულზე ძირითადად დაინიშნა უბნის და ოჯახის ექიმები, რომელთაც მეტად ნაკლები გამოცდილება აქვთ ამ დარგის დაწესებულებებში მუშაობისა. მაშინ როდესაც სკოლის ექიმის როლი მეტად სპეციფიკურ ხასიათს ატარებს და გამოირჩევა ჯანდაცვის ორგანიზაციის მრავალფეროვნებით. ამას კიდევ ემატება ის გარემოებაც, რომ ახლად დანიშნულ სკოლის ექიმებს სპეციალურად დამუშავებული დებულებაც კი არ აქვთ, რითაც მათ უნდა იხელმძღვანელონ ყოველდღიურ პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

რაც შეეხება საბავშვო ბაღებს, იქ საერთოდ არავითარი კვალიც კი არ არსებობს ჯანდაცვის მუშაკისა და ეს მოვალეობა ეკისრება ბაღის პედაგოგს.

ამ დღეებში ჩვენ შეხვედრა გვქონდა განათლების სამინისტროს და „იუნისეფის“ წარმომადგენლებთან. რომლებმაც წარმოადგინეს საბავშვო ბაღების აღმზრდელობითი გეგმა – სტანდარტი. ამ გეგმის მიხედვით ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხების მხრივ თითქმის არაფერია წარმოდგენილი.

დადგა დრო, როდესაც ყველამ უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ საბავშვო ბაღის სამედიცინო პერსონალი აღმზრდელობითი მოვალეობა პირველადი და მეორადი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების საჭიროება. პირველადი გულისხმობს ბავშვთა დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ცხოვრების მაღალი ხარისხის და ოპტიმალური წესის უზრუნველყოფას და გარემო პირობების დაცვას. მეორადი პროფილაქტიკის მიზანია დაწესებულებაში დაავადებათა ადრეული გამოვლენა და მათი კოლექტივიდან იზოლირება, რათა სასწრაფოდ განხორციელდეს ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

დღეს სავალალოდ მიგვაჩნია ის მდგომარეობა, რომ საქართველოში თითქმის ყველა აღმზრდელობით დაწესებულებები ჩამოყალიბდა გარკვეულ ბუდედ, ვირუსულ-რესპირატორული ინფექციების გავრცელების მხრივ და ამის საწინააღმდეგოდ ელემენტარული პირობებიც კი არ არის დაცული იმ ბავშვების დაავადებიდან დასაცავად. ისინი ხომ მომავალში გარკვეულ როლს თამაშობენ ხშირად მოავადე ბავშვთა ჯგუფის ჩამოყალიბებაში, ორგანიზმში არსებული ქრონიკული პროცესების გამწვავებაში და ახალი დაავადებების აღმოცენებაში.

რა უნდა ავადმყოფ ბავშვს მოსწავლეთა დიდ კოლექტივში? ნუთუ შეუძლებელია ამ პრობლემის დროულად მოგვარება? საუბედუროდ ამ დღემის გადაწყვეტა მარტო განათლების ორგანოებისთვის შეუძლებელი გახდა. ეს მეთოდურად უნდა იქნეს განხორციელებული, რომ ბავშვთა კოლექტივში სისტემატურად არ ვრცელდებოდეს ვირუსულ-რესპირატორული ინფექციები ან სხვა ინფექციები, რომელთა მიმართ განსაკუთრებულად მგრძობიარენი არიან ხშირად მოავადე ბავშვები.

ამისთვის საჭიროა ბავშვთა ბაღის, სკოლის მეურვეებმა შექმნან სუფთა გარემო ამ ინფექციების მიმართ, რომლის განხორციელებით ხდება ავადმყოფი ბავშვის სრული იზოლაცია ჯანმრთელი ბავშვისგან. ვიდრე ეს განმხორციელება არ მოხდება დაავადებათა გრძელი ჯაჭვი მუდმივად იარსებებს ამ დაწესებულებებში. რაც ხელს უშლის პირნათლად იქნას შესრულებული ჰიგიენური პირობების დაცვა, ავადმყოფი ბავშვების სრული იზოლაცია, ოთახების ხშირი განიავება, და გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მასიური ჩატარება?

მანკიერ სტილად მიგვაჩნია მოსწავლეთა სწავლის გაცდენის გამო პედაგოგების აგრესიულ მოთხოვნა ჯანმრთელობის ცნობის წარდგენაზე. ვინაიდან მშობლები სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ ახერხებენ ამ ცნობის აღებას. და ამის გამო პედაგოგები ბავშვის „დასჯის“ მიზნით მათ უტარებენ დამატებით სწავლების ღონისძიებებს, რითაც იტვირთება ისედაც ავადმყოფობით დასუსტებული ორგანიზმი და საბოლოოდ ყალიბდება მანკიერი სტილი რომელიც დიდ საშიშროებას წარმოადგენს ბავშვის შემდგომი ზრდა-განვითარებისთვის.



რეზიუმე

რესპირატორული ვირუსული ინფექციების ბავშვებზე თავისებურებები ქ. თბილისის საბავშვო ბაღებში და საჯარო სკოლებში და მათი პრევენციული ღონისძიებები

ა.ვ. კვეზერელი –ძოკად,ლ. სირაძე (თბილისი,საქართველო)

დროა, როდესაც ყველამ უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ საბავშვო ბაღის სამედიცინო პერსონალი აღმზრდევლობითი მოვალეობაა პირველადი და მეორადი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების საჭიროება. პირველადი გულისხმობს ბავშვთა დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ცხოვრების მაღალი ხარისხის და ოპტიმალური წესის უზრუნველყოფას და გარემო პირობების დაცვას. მეორადი პროფილაქტიკის მიზანია დაწესებულებაში დაავადებათა ადრეული გამოვლენა და მათი კოლექტივიდან იზოლირება, რათა სასწრაფოდ განხორციელდეს ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

SUMMARY

PREVALENCE PECULIARITIES AND PREVENTIVE MEASURES OF RESPIRATORY VIRAL INFECTIONS IN TBILISI KINDERGARTENS AND PUBLIC SCHOOLS

A.KVEZERELI-KOPADZE, L. SIRADZE (Tbilisi, Georgia)

It's time for everyone to analyze the fact that the educational duty of kindergarten medical staff is to perform primary and secondary preventive manipulations. Primary manipulations imply to provide high standard of living, optimal rules and protection of surrounding conditions during child's stay in kindergarten. The purpose of secondary prevention is to discover diseases on the early stage and to insulate them in order to perform anti epidemic manipulations.

უმნიშვნელოვანესია ეპიდემიურად მხოლოდ სუფთა ბარემოსათვის...

ნ.ბაწულაშვილი,ძ.ძოკაძე (თბილისი,საქართველო)

ქალაქების, რაიონების, სოფლების მოსახლეობისა და საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფისათვის უნდა განხორციელდეს:

1. დასახლებულ რაიონებში ჰაერი, წყალი და მიწა შენარჩუნებული იქნას ეკოლოგიურად სუფთა გარემოთი.
2. სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების გატარებისას ერთიანი კომპლექსური მიდგომა: დეზინფექცია ( დამუშავება-სველიწერტილების, შენობაში შემავალ-გამომავალი კომუნიკაციების, მოწყობილობების და ა.შ), დეზინსექცია (მწერები), დერატიზაცია (მღრნელები)
3. ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო პერიოდში სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაყოველდღიურად უნდა დალაგდეს სველიწესით სოდის, საპნის ან სინთეზურის სარეცხი საშუალებების გამოყენებით.
4. ჯგუფური ოთახების, საკლასო ოთახების და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება უნდა მოხდეს მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების და ფრამუგების მდგომარეობაში. თუ სკოლაში სწავლა მიმდინარეობს ორცვლად, ოთახები უნდა დალაგდეს 2-ჯერ, მორეცხოს იატაკი, გაიწმინდოს მტერიანი ზედაპირები (მაგიდები, სკამები, ფანჯრის რაფები, გამათბობლები და სხვა).
5. თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს შენობის გენერალური დასუფთავება არამარტო სარეცხის აშუაღუ-

ბებით, არამედ სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით. ამისათვის გამოიყენება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებები.

6. ფანჯრები უნდა გაიწმინდოს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორჯერ მაინც. სანიტარული კვანძი, კვების ბლოკი (ბუფეტი) და სამედიცინო კაბინეტი ექვემდებარება ყოველდღიურ დასუფთავებას სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით.

7. სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობის დასუფთავება უნდა მოხდეს ყოველდღიურად, ეპიდსიტუაციის მიუხედავად. უნიტაზის დასაჯდომის, ჩასარეცხი ავზისა და კარების სახელურებ იუნდა გაირიცხოს ცხელი წყლით და სარეცხი საშუალებით. ნიჟარები, უნიტაზები უნდა გაირეცხოს ჯაგრისით სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით მათ ეტიკეტზე მითითებულ ირეკომენდაციების შესაბამისად.

8. სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ამ მიზნებისათვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ინახება განცალკევებით და ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ.

9. სკოლის/ბაღის სათავსების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიკა და სადეზინფექციო საშუალებები, უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი შეფუთვით, რათა შესაძლე-





ბელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის.

10. კვების ბლოკის (ბუფეტის) დასუფთავება უნდა მოხდეს ბავშვების ყველა გასვლის შემდეგ (საუზმე, სადილი, სამხარი). საკვების მიღების დასრულების შემდეგ მაგიდეები ექვემდებარება რეცხვას ცხელი წყლით და სარეცხი საშუალებებით (საპონი, სოდადასხვა).

11. კვების ბლოკის ჭურჭელი რეცხვის წინ უნდა გათავისუფლდეს საკვების ნარჩენებისაგან, შემდგომ კი გაირეცხოს ჯაგრისით ცხელ წყალში (>500ჩ) და სარეცხსაშუალებებში (აბაზანის ერთი განყოფილება). ამის შემდეგ ჭურჭელი უნდა მოთავსდეს სადეზინფექციო ხსნარში. ბოლოს კი გაივლოს გამდინარე ცხელი წყლით (650ჩ) და გაშრეს სპეციალურ საშრობ კარადაში ან თაროებზე.

12. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში ჭურჭლის დასუფთავების ეტაპების რიგი იცვლება: საჭმლის ნარჩენებისაგან გათავისუფლებული ჭურჭელი უნდა მოთავსდეს სადეზინფექციო ხსნარში, გამოიხარშოს 2%-იანი სოდის ხსნარში – 15 წთის განმავლობაში, ამის შემდეგ ჭურჭელი გაირეცხოს გამდინარე ცხელი წყლით და გაშრეს.

13. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში ყოველდღიურ დეზინფექციას ექვემდებარება ყველაოთახი, სადაც გამოვლინდა დაავადების შემთხვევა. სადეზინფექციო საშუალებების ჩატარების ხანგრძლივობა კერაში დამოკიდებულია ეპიდსიტუაციაზე. შესაზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების მითითებების შესაბამისად, დაავადების კერის ლიკვიდაციამდე.

14. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში კერაში დეზინფექციის დროს ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნივთების დამუშავებას, რომლებიც გადაამწყვეტ როლს თამაშობენ ინფექციის გადაცემაში (ხშირად შეხებადი ზედაპირები, კარები, კარისა და ფანჯრის სახელურები, მაგიდის ზედაპირები). ჰაერ-წვეთოვანი ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით ხშირად უნდა განიავდეს საბავშვო ოთახები/კლასები (ყველა შესვენებაზე), გაიწმინ-

დოს მტერისაგან, დასუფთავდეს სველი წესით. ნაწლავური ინფექციების გავრცელების პრევენციისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჭურჭლის, სასადილო მაგიდების ზედაპირების, სანიტარიულ-ტექნიკური აღჭურვილობის დეზინფექციის მართებულად ჩატარებას.

15. სკოლის/ბაღის ტერიტორია ყოველდღიურად უნდა დასუფთავდეს, ხოლო ნაგავი მოგროვდეს და ჩაიყაროს ეზოში არსებულ თავსახურიან ნაგავშემკრებ კონტეინერებში, რომელიც შენობიდან არანაკლებ 25-30 მეტრის მოშორებითაა განთავსებული.

16. ყოველდღიურად უნდა ხორციელდებოდეს მყარი ნარჩენების შეგროვება ოთახებში, სამხარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში და უსაფრთხო გატანა შენობიდან.

17. ნაგვის კონტეინერების დაცლა მათი 3/4-ით გასვებისთანავე უნდა ხდებოდეს, რათა არ გადაივსოს.

18. ნაგვის ღპობისა და ხრწნის თავიდან აცილების მიზნით, ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს კონტეინერების გატანა სკოლის/ბაღის ტერიტორიიდან, განსაკუთრებით, წლის თბილ პერიოდში. ყოველთვიურად, კონტეინერები უნდა გაირეცხოს და ჩაუტარდეს დეზინფექცია (10%-იანი ქლორიანი კირის ხსნარით 60წთ-ის განმავლობაში, ან სხვა ნებისმიერი შესაძლებლობის მიხედვით – შესაბამისი დეზინფექტანტით).

19. სკოლაში/ბაღში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნახმარი წყლების მოცილება/არინებად ასეპტიკური აუზების დაცლა დროულად და უსაფრთხოდ.

20. სკოლის/ბაღის ადმინისტრაციის ორგანიზებით, სპეციალიზებული სამსახურის მეშვეობით, უნდა ჩატარდეს ნარჩენების კონტეინერების განთავსების ადგილის, ასევე საწყოებისა და სარდაფების პერიოდული დამუშავება მწერებისა და მღრღნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია).

*P.S. პროგრამების წარმატებით განხორციელებაში ადგილობრივი დაწესებულების კეთილი ნება და რესურსი გამოიყენება (ექიმისა და ექთნის კომპეტენციებით-მათი მონიტორინგი, თუ ასეთი შტატი არის).*

## რეზიუმე

### უმნიშვნელოვანესია ეკოლოგიურად მხოლოდ სუფთა გარემოსათვის...

**ნ.ბაჭელაშვილი, კ.კოკია, გ.ჩახუნაშვილი**  
(თბილისი, საქართველო)

ჩამოთვლილი 20 პუნქტი აუცილებელია ქალაქების, რაიონების, სოფლების მოსახლეობისა და საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო, საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფისათვის.

## SUMMARY

### NECESSITY FOR ECOLOGICALLY PURE ENVIRONMENT...

**N.BATSELASHVILI, K.KOKIA, G.CHAKHUNASHVILI**  
(Tbilisi, Georgia)

Listed 20 points are essential for providing sanitary-hygiene conditions in educational institutions and populations of Cities, regions, villages.

დაიბანეთ ხელები და დაიცავით თავი ინფექციებისგან!  
KEEPING HANDS CLEAN!



ხელების სწორი დაბანა, განსაკუთრებით ზაფხულში და მათ სისუფთავეზე მუდმივად ზრუნვა ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხურია ჩვენს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. საპირი და სუფთა წყალი თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა. თუ იმყოფებით ისეთ ადგილზე, სადაც ისინი არ არის ხელმისაწვდომი, თან იქონიეთ ალკოჰოლის (მინიმუმ 60%) შემცველი სადეზინფექციო საშუალება თქვენს ხელებზე არსებული მიკრობების მოსაშორებლად.

როდის დაიბანეთ ხელები?

- სახლში შესვლისთანავე;
- საცემების მომზადების წინ, მომზადების პროცესში და შემდეგ;

- ტამის წინ და შემდეგ;
- ვადემოფი ადამიანის მოვლის წინ და შემდეგ;
- ჭრილობის მოვლის წინ და შემდეგ;
- ტუალეტით სარგებლობის შემდეგ;
- ბავშვის საფენის გამოცვლის ან ტუალეტით სარგებლობის მისი გასუფთავების შემდეგ;
- ცხვირის მოწმენდის, დაცემინების ან დახველების შემდეგ;
- ცხოველებთან, მათ საკვებთან ან ნარჩენებთან შეხების შემდეგ;
- ცხოველების კვების ან მოვლის შემდეგ;
- ნაგავთან შეხების შემდეგ.

როგორ დაიბანეთ ხელები?

- დაისველეთ ხელები სუფთა, გამდინარე წყლით (თბილი ან ცივით) დაკეტეთ ორკანი და გამოიყენეთ საპირი;
- აიჭაფეთ ხელები საპირი კარგად, წაისეთ ის საფეხქვანთან თითოეულ შორის, ფრხხილების ქვეშ და მთლიანად მტვევსზე;
- დაიმუშავეთ ხელები 20 წამის განმავლობაში (2-ჯერ წაიმღებეთ დაბადების დღის მისალოცი სიმღერა);

- კარგად ჩამოიბანეთ ხელები სუფთა წყლით;
- გაიმშრალეთ სუფთა პირსახოცი ან ელექტროსაშრობით.

ასათვისებლად - პოსტერის სანახავად გადაით შებდე ბმულზე: <http://ncdc.ge/index.php?do=fullmod&mid=897>

ინფორმაციის წყარო: <http://www.cdc.gov/healthywater/hygiene/hand/handwashing.html#handwashing> <http://www.ncdc.ge/index.php?do=fullmod&mid=897>



მამრობითი სქენის ათლავაზი გულის და საყრდენამოქრავი სისტემის სკრინინგი ფიზიკური-ინსტრუმენტული გამოკვლევებით (PPPE გამოკვლევები) ბაერთიანულს საემირიოზში

აბსტრაქტი

ეს კვლევა მოიცავს ფიზიკური გამოკვლევებით გულ-სისხლძარღვთა და საყრდენამოქრავი სისტემების სკრინინგის შედეგებს, ლაუნსანის რეკომენდაციების გამოყენებით (გამოკვლევაში შედიოდა: პირადი და ოჯახის ისტორია, ფიზიკური გამოკვლევები და ეკგ). ინტერსექციული კვლევა, რომელიც ჩატარდა ალ-აჰლი კლუბში, დუბაი, მოცავდა ლაუნსანის სკრინინგის და ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის რეკომენდაციებს.

კვლევაში მონაწილეობდა 230 მამრობითი სქენის ათლავაზი, რომლებიც ნაბმულები არიან ორგანიზებულ სპორტში. გამოირიცხა ათლავაზები ასაკის 14-ს ქვეითი, 35-ს ზევით, სქენის და გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე. პირველადი შედეგები ლაუნსანის სკრინინგის შედეგების იყო უარყოფითი, დადებითი, ცრუ დადებითი და დასაზუსტებელი პასუხი.

მეორეული შედეგები მოიცავდა საყრდენამოქრავი და ნევროლოგიური გამოკვლევების პასუხებს.

174 სპორტსმენს ქონდა უარყოფითი შედეგი; 44 ათლავაზი დასჭირდა დამატებითი გამოკვლევა; 47-ს ქონდა ცრუ დადებითი შედეგი.

Alattar, S Ghani, N Mahdy, H Hussain and N Maffulli  
Transl Med UniSa. 2014 Apr-Jun; 9: 43-49.  
Published online Apr 24, 2014.

7 ათლავაზს ქონდა დადებითი შედეგი; 4-ს აკრძალა სპორტსმენობა. 33 ათლავაზი იყო საჭირო, რომ გამოეღწეოდა ერთი სიცოცხლისათვის საშიში კარდიოვასკულური მდგომარეობა.

ლაუნსანის რეკომენდაციების კარგად ერგება გაერთიანებულ საემირიოებს (რადგან 33 კაცის სკრინინგი, რომ დადგინდა იქნას სიცოცხლისათვის საშიში დაავადება მისაღებად).

შეჯამება

უცარი გულისმიერი სიკვდილი (უგს) არის ახალგაზრდა სპორტსმენებში სიკვდილობის მთავარი მიზეზები; იგი შეიძლება განვითარდეს არადადგენილი სტრუქტურული ან ელექტრული გამაფრთხილებლის დაავადების გამო. დაავადების ინციდენტობა ათლავაზების შორის მერყეობს 0.5-2/100000. სპორტული აქტიუობა აორმაგებს უგს-ს რისკს. ამის გამო ევროპასა და აშშ-ში ბოლო დეკადის მანძილზე დაინერგა ათლავაზების PPPE შეფასებები. 2005 წელს ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციამ შეიმუშავა საერთო ევროპული პროტოკოლი ათლავაზების PPPE სკრინინგის შესახებ, რათა შეემცირებინათ უგს-ით სიკვდილობის რისკი და რიცხვი. იტალიაში პირველად დაიწყო ამ ტიპის სკრინინგი და შემთავაზებული იქნა შემდეგი ტესტები: პირადი და ოჯახური საშეღებო ისტორიის, ფიზიკური დატვირთვის ტესტების და ეკგ შეფასებები. შედეგად, იტალიაში საგრძობლად შემცირდა უგს ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის. ამ სკრინინგის წარმატება შეიძლება მიეწეროს იმას, რომ ის მოიცავს ეკგ გამოკვლევას. მაგალითად, ეკგ, რომელიც ძალზედ სენსიტიურია პიკურტრონიული კარდიომიოპათიის დიაგნოსტიკისთვის, გააძლიერებს საშუალებას ამოიცნოს ათლავაზები ფარულად გულ-სისხლძარღვთა დაავადებით და, შესაბამისად, უგს მაღალი რისკით. ლაუნსანის

ცხრილი 1

Population characteristics.	
	Total (n = 230)
Mean age (SD), y	20.68 (±5.22)
Mean height (SD), cm	169.13(±10.82)
Mean weight (SD), kg	62.68(±14.61)
Mean body mass index (SD), kg/m <sup>2</sup>	21.80(±4.17)
Mean body surface area (SD), m <sup>2</sup>	1.71(±0.24)
Mean pulse rate (SD), BPM	61.54(±12.70)
Mean systolic BP (SD), mm Hg	123.47(±13.47)
Mean diastolic BP (SD), mmHg	68.28(±7.80)
Mean total training time (SD) hours/week	10.06(±0.99)
Teams	n (%)



ცხრილი 2

Distribution of athletes according to medical questionnaire	
Total (n = 230)	
Question	
GENERAL MEDICAL	
Have you ever had a preparticipation evaluation?	
Did you suffer an injury last season?	
Do you have a chronic injury?	
Have you ever been hospitalized?	
Are you taking any medications at the present time?	
Are you taking any nutritional supplements?	
Do you have any allergies?	

ლაუსანის რეკომენდაციების მიხედვით, ჩატარდა კვლევა PPPE სკრინინგ პროტოკოლით არაბეთის გაერთიანებულ სამედიცინო კვლევის მიზანი იყო შეფასებულიყო ამ პროტოკოლის ეფექტურობა გულის ფარული დაავადების დადგენაში, უგს პრევენციაში.

**მეთოდოლოგია**

დუბაის ჯანმრთელობის სამსახურმა დაამტკიცა კვლევა პროცედურა აღნიშნული კვლევის, ხოლო სუბიექტებმა განაცხადეს თანხმობა მონაწილეობის მიღებაზე (16-ზე დაბალი ასაკის პირებში ორივე მშობელი აწერდა ხელს).

**მონაწილეები:** 230 მამრობითი სქესის აქტიური ათლეტი, გაერთიანებული სამედიცინოების სპორტული კლუბებიდან, გამოკვლეულ იქნა 2011 წლის დეკემბრიდან 2012 წლის თებერვლამდე. ექსკლუზიის შემდეგი კრიტერიუმები დადგინდა: ასაკი - 14-ს ქვემოთ, 35-ს ზევით, სქესის და გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე/ისტორია. ხარჯთაღმწიკურობის და დროის დაზოგვის მიზნით შეფასება ტარდებოდა არა სავარჯიშო დღეს. კვლევაში ჩართვა გამოცხადდა ზოგადი განცხადების საფუძველზე კლუბებში.

**სამედიცინო კითხვარი:** სტანდარტული კითხვარი მიეცა ყველა მონაწილეს. ის შედგა ლაუსანის რეკომენდაციის მიხედვით და არაბეთის თარგმანი დამტკიცდა დუბაის ჯანდაცვის სამსახურის მიერ. თუ ისტორიაში ათლეტი აღნიშნავდა უჯრუტის რეკომენდაციის მიხედვით და არაბეთის თარგმანი დამტკიცდა დუბაის ჯანდაცვის სამსახურის მიერ. თუ ისტორიაში ათლეტი აღნიშნავდა უჯრუტის რეკომენდაციის მიხედვით და არაბეთის თარგმანი დამტკიცდა დუბაის ჯანდაცვის სამსახურის მიერ.

**ფიზიკური გამოკვლევა:** ფიზიკურ გამოკვლევას ატარებდა ერთი სპორტის ექიმი, PPE-4-ის კრიტერიუმების მიხედვით.

გულის გამოკვლევები ტარდებოდა ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის სპორტული კარდიოლოგიის სექციის კონსენსუსი განცხადების მიხედვით (სიმკვრივე, წონა, ჯდომისას წინამხარზე ა/წ, გულის აუსკულტაცია სუბინატორული-მედიასტრალ პოზიციებში, მარფანის სინდრომის მახასიათებლების შეფასება გამოცხადდა).

დიდი სპორტსმენების გულის სინდრომში გამოცდილების მქონე კარდიოლოგის მიერ).

**მოსვენებისას 12-განსრავი მკვ:** ეკგ გამოკვლევა რეგულარულად კალიბრირებული და გამართული მოწყობილობით (Philips PageWriter TC50; Philips Healthcare, The Netherlands). ელექტროდები მჭარად ფიქსირდებოდა, რათა კარგად გამოხე-

ჭის პიკერტროფის დასადგენად გამოყენებულ იქნა Romhilt and Estes კვლევის სისტემა, სადაც =5 იყო პიკერტროფის ნიშანი. კბილი ითვლებოდა პათოლოგიურად თუ >0.04 წმ ან/და სიღრმე იყო R კბილის ამპლიტუდის 5%.

**კვლევის ეტაპები:** ეტაპები ლაუსანის რეკომენდაციების მიხედვით.

პირველ ეტაპზე - 12-განსრავი ეკგ ყველა სპორტსმენს. დადებითი პირადი, ოჯახური ისტორია, რომელიც სავარაუდოს ხდიდა გულის მემკვიდრეობით დაავადებას, დადებითი პასუხი ფიზიკური გამოკვლევისას ან ეკგ ანალიზისას (1-ლი ეტაპის) საჭიროს ხდიდა ათლეტს გაეარა დამატებითი კონსულტაცია ექსპერტ კარდიოლოგთან მესამე დონის რეფერალურ საავადმყოფოში, სადაც შესაძლებელი იყო ჩატარებულიყო ერთი გამოკვლევა ან რამოდენიმე კომბინაცია (მაგ: ექი-კარდიოგრაფია, 24-სთ პოლტერი, დატვირთვის ტესტები, ელექტროფიზიოლოგიური ტესტები და მრს).

მოკვლევის დადებითი პასუხის გაგრძელება.

10 - სქოლოზი, 4 ქრონიკური მზის არასტაბილურობა, 10 - იდაფის ქრონიკული არასტაბილურობა, 60 - ბრტყელ ტერფა, 3- ქონდა გაკეთებული წინა

1 - სპორტსმენს დაუდგინდა მოკარდიოლი იშვია, გულმკერდის ტკივილი + დადებითი ekg ST დეპრესიოთ. ექი - მცირე ტრიკუსპიდული და მცირე ალტერეგულაციები, მრს და ეკგ დაამტკიცა დიაგნოზი.

ცხრილი 4

Electrocardiographic findings in athletes		
ELECTROCARDIOGRAPHIC FINDINGS IN ATHLETES (n=230)	Numbers	Percentage
<b>GROUP 1 (training-related) ECG findings</b>		
Sinus Bradycardia (HR < 60)	124	53.9%
1 <sup>st</sup> Degree AV Block (PR > 120ms)	35	15.2%
Partial Right Bundle Branch Block (pRBBB)	28	12.1%
Voltage criteria for Left Ventricular Hypertrophy (LVH)	81	35.2%
Early Repolarization (ER) - overall prevalence	84	36.5%
ER in anterior leads (in isolation or combination)	72	31.3%
ER isolated to inferior and/or lateral leads	47	20.4%
<b>GROUP 2 (training-unrelated) ECG findings</b>		
Right Bundle Branch Block (RBBB)	0	-

ჯვარედინი ითვის რეკონსტრუქცია და 3 - მენისკეკტომია. 1 - პალპირებადი ელენია.

**გულის გამომკვლევები და ისტორია**

2 - დადებითი უგს ოჯახური ისტორია 35 წლამდე ნაიუსავში. 6 - გულის წასვლა, 9 - თავბრუსხვევა, 2 - ქოშონი, 3 - გულმკერდის ტკივილი, 3- გულის ფრიალი დატვირთვით ან მერე, 7 - სისტოლური შუილი.

**მკვ**

ყველაზე ხშირი T კბილის ინვერსია (10.4 პროცენტში), 2 - WPW სინდრომის პატერნი, 1- QT განხანგრძლივებული, 1- წინაგულოვანი ფიბრილაცია. ყველა დადებითი პასუხიანმა გაიარა დამატებითი გამოკვლევა მერე ეტაპზე. 2 - ქონდა >140 mmvwy აწ რამოდენიმე გულისხმის და ოჯახის ექიმთან იქნა გაზაზნაილი მკურნალობისთვის. 54- დასჭირდა მერე ეტაპის კვლევები.

დიაგნოზი დადასტურდა 7 ათლეტში.

დადებითი უგსის ისტორია ქონდა 7 ათლეტს. ყველაზე გაიარა ექიკარდიოგრაფიული გამოკვლევა და 1-ს აღმოაჩნდა მიტრალური სარქვლის ნაკლოვანება.

48 - ეკგ ანომალიები და საჭირო იყო დამატებითი გამოკვლევა. 2-ს აღმოაჩნდა ჭკორიფოსთან უსიმპტომოდ, ორივეს აღმოაჩნდა დამატებითი გზა და ამოიკეთა. ორივე დაუბრუნდა სპორტს.

1 - ატრული ფიბრილაცია + ქოშინი დატვირთვით. 24-საათიანმა პოლტერმა და ექიკარდიოგრაფიამ დადასტურა დიაგნოზი, გაიარა აბლაცია და დროებით ჩამოშორდა სპორტს.

1 - სპორტსმენს აღენიშნებოდა გულის ფრიალი + T ინვერსია ყველა განხრავი. დამატებითმა კვლევებმა ცხადყო მარჯვენა პარკუტის პიკოინეხია +დილტაცია - არითმოგენული მარჯვენაპარკუტოვანი კარდიომიოპათია.

1 - QT განხანგრძლივება, სინკოპე დატვირთვისას, დადებითი უგს ოჯახური ისტორია, ეკგ-ზე მოსახლურე QT სინდრომი. 24-საათიანმა პოლტერმა ოც აწენა 490 მწმ.

**დასკვნა**

ეს შედეგები მიღებულ იქნა მამრობითი სქესის, არაბი მამაკაცების (აღმოსავლეთი აზია) კვლევის შედეგად და არ უნდა განვაზოგადოთ მდგომარეობი სქესზე და სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე.

ეკგ გამოყენებით ამ სკრინინგის ჩატარება წარმოადგენს ვალიდურ სტრატეგიას, რომ შემცირდეს უგს რისკი ახალგაზრდა ათლეტებში. ამ მეთოდის დანერგვა არაბეთის გაერთიანებულ სამედიცინოების დადებითი შედეგს მოიტანს. თუმცა ის ფაქტი, რომ ცრუ დადებითი შედეგების რაოდენობა საკმარის მაღალი იყო (20.4) ცხადყოფს, რომ ამ მეთოდის გაუმჯობესება საჭიროა (თუმცა ცრუ დადებითი შედეგები შეიძლება პოპულაციის არჩევის ბრალდ იყოს, რადგანაც გამოკვლეულების 7% გადმოიხამართული იყო კარდიოვასკულური სიმპტომების არსებობის გამო. ეს კვლევა ცხადყოფს, რომ ეკგ-ს დამატებად სენსიტიურობა გაზარდა 45.5-დან 90.9-მდე, და უარყოფითი ამომცნობი ღირებულება გახდა 98.7- 99.8, ცრუ დადებითი 16.7%. ეკგ-ს გარეშე ისტორია და კითხვარია არის არაადეკვატური. იმაზე პასუხს, თუ რამდენად შეუძლებელია ამ მეთოდს უგს ინციდენტობის და სიკვდილობის რისკის შემცირება, ეს კვლევა დიზაინის გამო მერე პასუხს ეკგ-ს დასტურება აქამდე ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველს ვეამდეგს მივიჩნით, რომ ეს მეთოდი ამცირებს უგს რისკს და რიცხვს.

A Alatar, I S Ghani, N Mahdy, 3 H Hussain, 3 and N Maffjulli4 (ტექსტი თარგმნა და მონაზადა J. ჩახუნავშილია)

ცხრილი 3

Distribution of athletes with positive finding on examination	
	Total (n = 230)
	Finding, n (%)
<b>Appearance</b>	
Palc	16(7)
<b>Heart</b>	
Systolic ejection murmur	7(3)
<b>Abdomen</b>	
Palpable spleen	1(0.4)
Inguinal herniotomy scar	1(0.4)
<b>Genitalia</b>	
Hydrocele	2(0.9)

ნილიყო გულმკერდის განხრები. ეკგ მონაცემებში იბეჭდებოდა და შემდგომში დამოუკიდებლად ფასდებოდა კარდიოლოგის მიერ. PR interval, QRS duration, QT interval, QRS axis, Q, R, S and T wave voltage, and ST სეგმენტის იზომებოდა ყოველ განხრავში. -ს ვოლტაჟი VI-ში. მარცხნივ გადახრა ითვლებოდა თუ Q დერბი იყო >30 გრადუსი, ხოლო მარჯვნივ QRS +120QT ინტერვალი სწორდებოდა ბაზეტის ფორმულით. თც ჩაითვლებოდა ნორმაზე მაღლა თუ >450 მწმ მაკაცებში. მარჯვენა წინაგულის გადიდება მინეული იყო P=0.25 მე. მარცხენა წინაგულის გადიდება ითვლებოდა თუ ბიფაზური იყო P კბილი VI-ში, როდესაც ტერმინალური პოზიციია იყო >0.1 მე და =0.04 წმ. ორივე წინაგულის პიკერტროფია - სოკოლოფილის ვოლტაჟის კრიტერიუმით.

მარცხენა პარკუტის პიკერტროფიის ნიშნებად მინეული იყო - Sv1 + Rv5/6 = 3.5 მე. მარჯვენა პარკუტის პიკერტროფიის ნიშნებად - Rv1+ Sv5-6 = 1.05. ამასთან ერთად მარცხენა პარკუ-

სიმპტომები, რომლებიც იბეჭდებოდა საშუალებას გვევარაუდო გულის დაავადებები, იყო: განმეორებითი სინკოპე ვარდიოლოგის მიერ. PR interval, QRS duration, QT interval, QRS axis, Q, R, S and T wave voltage, and ST სეგმენტის იზომებოდა ყოველ განხრავში. -ს ვოლტაჟი VI-ში. მარცხნივ გადახრა ითვლებოდა თუ Q დერბი იყო >30 გრადუსი, ხოლო მარჯვნივ QRS +120QT ინტერვალი სწორდებოდა ბაზეტის ფორმულით. თც ჩაითვლებოდა ნორმაზე მაღლა თუ >450 მწმ მაკაცებში. მარჯვენა წინაგულის გადიდება მინეული იყო P=0.25 მე. მარცხენა წინაგულის გადიდება ითვლებოდა თუ ბიფაზური იყო P კბილი VI-ში, როდესაც ტერმინალური პოზიციია იყო >0.1 მე და =0.04 წმ. ორივე წინაგულის პიკერტროფია - სოკოლოფილის ვოლტაჟის კრიტერიუმით.

სტატისტიკური ანალიზი: ანალიზი წარმოებდა SPSS 20 ვერსიით. კითხვარის პასუხები გამოიხსნა აბსოლუტური ციფრებით და ცენტრებით. აღწერითი სტატისტიკა მოიცავს საშუალო და სტანდარტულ გადახრას. ყველა რეკორდები აღწერილიყო მცდელოდ. 36 ათლეტს აღენიშნებოდა კუბის დატვირვის ისტორია.

**ფიზიკური გამოკვლევები**

(ცხრილი 3 მოიცავს (იხილეთ ბოლოში) ფიზიკური გა-





# სპორტული მედიცინის საჭიროება

მ. ხოშმერია, მ. ჯაში, პრეზიდენტი მ. რუხაძე

(შპს ზ. თელიას სახელობის თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი, სამედიცინო რეაბილიტაციის და სპორტის მედიცინის ასოციაცია)

თანამედროვე მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოები უდიდეს ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდა სპორტსმენების პროფილაქტიკურ შემოწმებას – სკრინინგს, რათა დაიცვან სპორტში ჩაბმული ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობა ფიზიკური დატვირთვებით გამოწვეული პათოლოგიური გადახრებისგან, მათ შორის უმძიმესი გართულებების – უეცარი სიკვდილისგან. უეცარი სიკვდილის რისკი ასოცირდება სამედიცინო შემოწმების იგნორირებასა და არაადეკვატურ ფიზიკურ დატვირთვებთან ვარჯიშისა და შეჯიბრის დროს.

საგულისხმოა, რომ ევროპაში შექმნილია ევროპის კარდიოლოგთა გაერთიანება, რომელშიც შედიან როგორც კარდიოლოგები, ასევე სპორტის ექიმები. ამ გაერთიანების მუშაობას საფუძვლად დაედო იტალიის სპორტსმენთა სკრინინგის ოცდახუთწლიანი გამოცდილება, რომლის მიხედვით სამედიცინო პროფილაქტიკურ გასინჯვას გადის ყველა სპორტსმენი.

ევროპის ქვეყნებში სპორტის მედიცინის სამსახური სხვადასხვაგვარად ხორციელდება. უმრავლეს ქვეყნებში იგი სავალდებულოა და უპირატესად რეგულირდება სახელმწიფოს მიერ და სისტემატიური ხასიათი აქვს, ხოლო ზოგიერთში – ნებაყოფლობითია, ევროპისგან FIFA-ს, UEFA-ს და ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციების რეკომენდაციებს და ფინანსდებიან ეროვნული ფედერაციების და ოლიმპიური კომიტეტების მიერ.

სპორტის მედიცინა საქართველოში რამოდენიმე სამინისტროს საქმიანობის მფარველობის ქვეშაა, ესენია: სპორტის, ჯანდაცვის და განათლების სფეროები. სწორედ მათზე უნდა გადანაწილდეს უფლებებიც და მოვალეობებიც.

ჩვენი სურვილია საქართველო არ ჩამორჩეს თანამედროვე მსოფლიოს. პასუხისმგებლობა სპორტში ჩართულ ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე კანონით უნდა დაეკისროს როგორც მწვრთნელსა და ექიმს, ასევე მშობელს. სპორტში ჩაბმული ყველა ბავშვი უნდა იყოს გამოკვლეული და დაშვებული სპორტულ სექციაში.

გამოკვლევების შედეგად სპორტის ექიმი ადგენს სპორტსმენის სტატუსს: პრაქტიკულად თუ აბსოლუტურად ჯანმრთელია სპორტსმენი და რომელი დაავადებების შემთხვევაში დაიშვებიან სპორტში. სპორტის ექიმებს ასევე შეუძლიათ დაეხმარონ მწვრთნელებს საწვრთნო პროცესის სწორად წარმართვაში.

სადღეისოდ საქართველოში მოქმედებს სპორტის კანონი და "სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი", ისინი წარმოადგენენ სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამას და სხვადასხვა ასპექტებსთან ერთად შეიცავს სპორტის მედიცინის განვითარების პერსპექტივას. საქართველოს კანონმდებლობა თითქოს იზიარებს ამ სამსახურის აუცილებლობას, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის. არ არსებობს სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული პროგრამები და დებულება, არც სპორტსმენების მაღალკვალიფიციური, კომპლექსური და სისტემატიური სამედიცინო კონტროლია მიჩნეული სავალდებულოდ.

სავალალო შედეგები სახეზეა – ზოგიერთი ახალგაზრდა და დამწყები სპორტსმენის ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება და არაერთი ტრაგიკული შემთხვევა...

სპორტი, როგორც მოსახლეობის გაჯანსაღების ერთ-ერთი საშუალება, არ უნდა დარჩეს სპეციალური სამედიცინო უზრუნველყოფის გარეშე. ამისათვის აუცილებელია სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრის არსებობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, სულ ახლო წარსულში, ათი სპორტული მედიცინის ცენტრი ფუნქციონირებდა. ისინი ფასდაუდებელ სამსახურს უწევდნენ სპორტში ჩაბმულ ყველა ასაკის თაობას. დღესდღეობით მათგან მხოლოდ ერთადერთი შპს ზ. თელიას სახელობის თბილისის სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრი არსებობს, რომელიც 1952 წელს დაარსდა და დღესაც სახელმწიფო საკუთრებაშია.

ცენტრის სამედიცინო მომსახურების მოცულობა და პერსონალის კვალიფიკაცია სრულად აკმაყოფილებს ევროპის უმეტეს ქვეყნებში არსებულ მოთხოვნებს. მაგრამ, ცენტრი არ ფუნქციონირებს იმის გამო, რომ შენობა (მის: ილ. ჭავჭავაძის გამზ. 49ა) დაინგრა და შემდგომ გაიყიდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის სამინისტრო მზადაა გამოეცხოს საჭირო ფართი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ვერ ბედავს თავის დაქვემდებარებაში აიყვანოს ისეთი ცენტრი, რომელიც თავისი ბიზნეს-გეგმის მიხედვით ფინანსურადაც მომგებიანია.

სპორტსმენთა დიდი არმია, რომელიც შპს ზ. თელიას სახელობის თბილისის სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრში გადიოდა სამედიცინო შემოწმებას ამ მომსახურების გარეშე დარჩა. მართალია რამოდენიმე სპორტის მედიცინის ცენტრი გაიხსნა თბილისში, მაგრამ მრავალ დარგობრივი სპეციალისტებით დაკომპლექტებული და სტრუქტურული ერთეულებით მდიდარი ცენტრი საქართველოში არ არსებობს.

სპორტმა ჯანმრთელობა უნდა გაუძლიეროს ახალგაზრდობას და არ გახდეს მათი პათოლოგიური გადახრების, და მით უმეტეს გარდაცვალების მიზეზი. ამ პრობლემის გადაჭრა სპორტის მედიცინის სპეციალიზირებული ცენტრის ფუნქციაა, მაგრამ ჩვენი ქვეყანა ასეთი ცენტრების ნაკლებობას განიცდის.

ამისათვის დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს სახელმწიფო კანონი სპორტსმენთა აღზრდისა და მომზადების ყველა სექციისა თუ კლუბისათვის, რომელიც დაავადებულებს მწვრთნელსა და მშობელს, რომ სპორტში ჩართული ბავშვები და მოზარდები იმყოფებოდნენ სამედიცინო დაკვირვების ქვეშ. კანონი უნდა შემუშავდეს ერთობლივად საქართველოს ჯანდაცვისა და სპორტის სამინისტროების მიერ, სადაც აქტიურად ჩართუნიან სპორტის მედიცინის ექიმები. სასურველია აგრეთვე უმოკლეს ვადაში ადღევს შპს ზ. თელიას სახელობის თბილისის სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრის ფუნქციონირება, რამეთუ ამისათვის არსებობს საჭირო ინტელექტუალური და მატერიალური რესურსი.

ჩვენ ვგლოდებით ქმედით ნაბიჯებს საქართველოს კანონმდებელი ორგანოებისა და მთავრობისაგან.



რეზიუმე

სპორტული მედიცინის საჭიროება

მ. ხოპერია, მ. ჯაში, პროფესორი მ. რუხაძე

(შპს ზ. თელიას სახელობის თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი, სამედიცინო რეაბილიტაციის და სპორტის მედიცინის ასოციაცია)

დაუფორნებლივ უნდა შემუშავდეს სახელმწიფო კანონი სპორტსმენთა აღზრდისა და მომზადების ყველა ეტაპისა თუ კლუბისათვის, რომელიც დაავადებულებს მწვრთნელსა და მშობელს, რომ სპორტში ჩართული ბავშვები და მოზარდები იმყოფებოდნენ სამედიცინო დაკვირვების ქვეშ. კანონი უნდა შემუშავდეს ერთობლივად საქართველოს ჯანდაცვისა და სპორტის სამინისტროების მიერ, სადაც აქტიურად ჩაერთვებიან სპორტის მედიცინის ექიმები.

SUMMARY

NECESSITY OF SPORTS MEDICINE

M.KHOPERIA, M.JASHI, M.RUKHADZE

(LTD Tbilisi sports medicine and rehabilitation centre named after Z.Telia, Medical Rehabilitation and Sports Medicine Association)

The law must be immediately drawn out for all sections or clubs who train and raise sportsmen; Law, which will oblige the parents and trainers to have all the sportsmen under medical observation. This law must be drawn out together by Ministry of Public Health and Ministry of Sports, in which sports medical doctors will actively participate.

ნებისმიერი სპორტის განვითარება მხოლოდ სპორტული მედიცინის საფუძველზე უნდა წარმოებდეს

რ. სპანიშვილი (თბილისის საქართველო)

ამას წინათ საქართველოს პარლამენტის მედიცინის, სპორტისა და . . . . . კომიტეტმა განიხილა სპორტული მედიცინის ის საკითხები, რომლებიც საქართველოს, როგორც მასობრივ გამაჯანსაღებელი, ისე დიდი, ანუ პროფესიონალური სპორტის განვითარების პრობლემებთანაა დაკავშირებული. მომხსენებლების მიერ აღნიშნული იყო მაღალკვალიფიციურ ბავშვთა, მოზარდთა და მოზრდილ სპორტსმენტთა სამედიცინო უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ. მართალია ყველა მაღალკვალიფიციურ სპორტსმენს სპეციალური სამედიცინო შემოწმება – საექიმო კონტროლი, ერთნაირი მოცულობით არ უტარდებათ, მაგრამ მათი ორგანიზმის ჯანმრთელობის, ფიზიკური განვითარების და მომზადების მდგომარეობა მეტ-ნაკლებად შეისწავლება, რასაც ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სპორტული წვრთნის მაღალი ფიზიკური დატვირთვების სწორად ჩატარების თვალსაზრისით, რასაც მოითხოვს თანამედროვე სპორტის თითქმის ნებისმიერი სახეების განვითარება.

რა მდგომარეობაა ამ დროს მასობრივი – გამაჯანსაღებელი სპორტით მომეცადინე, განსაკუთრებით სასკოლო ასაკის ბავშვთა სამედიცინო შემოწმების მხრივ, შეიძლება ითქვას – საკვალალო. საჯარო სკოლებში, სადაც კი ტარდება მოსწავლეთა შორის სხვადასხვა სპორტული შეხვედრები – შეჯიბრებები, სპორტაკაიდები და სხვ. განსაკუთრებით თამაშობით სპორტის სახეობებში, უკვე მრავალი წელია, არცერთ

მოსწავლეს ერთხელაც არ გაუვლია სპეციალური სამედიცინო შემოწმება – საექიმო კონტროლი, რაც დაუშვებელია. კანონი ერთია: ვინც იწყებს ფიზიკურ ვარჯიშს, განსაკუთრებით კი სპორტულ წვრთნას, მან სავალდებულო წესით უნდა გაიაროს ისეთი სამედიცინო შემოწმება, რომლის დროსაც მას ჩაუტარდება ტესტირება, რაც იძლევა საშუალებას დადგენილი იქნას ფიზიკური დატვირთვის მიმართ ადამიანის ორგანიზმის შეგუების, ანუ ადაპტაციის უნარი.

ქ. თბილისში არსებობდა პირველი სპეციალური სპორტული მედიცინის სამედიცინო დაწესებულება – დისპანსერი, რომელიც უკვე მრავალი წელია რაც მხოლოდ ქალაქშია ფიქსირებული. მას ჩამოერთვა სამედიცინო ბაზა, რამაც განაპირობა ამ უაღრესად საჭირო სამედიცინო ცენტრის გაუქმება. შუორედ ეს დისპანსერი ახერხებდა იმას, რომ სამედიცინო შემოწმებები, გარდა სხვადასხვა ასაკისა, კვალიფიციური სპორტსმენებისა, მასობრივ სპორტს ჩაბმულ ყველა ასაკის კონტიგენტისათვის ჩატარებინა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ცნობილი სპორტული მედიცინის სპეციალისტს, ბატონ ზაქარია თელიას სახელობის აღნიშნული სამედიცინო დაწესებულება, რომელიც სადღეისოდ სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის სახელწოდებით არის ცნობილი, უახლოეს პერიოდში უნდა იქნას აღდგენილი.

მხოლოდ სიმართლით და დიდი მონდომებით შეიძლება ნებისმიერ დარგში პრობლემის სწორად გა-



დაწყება. დღეს, როდესაც მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის პრობლემებზე მიდის საუბარი, ყოველთვის აღინიშნება, რომ არ უნდა გაუქმებულიყო საჯარო სკოლებში ფიზიკური აღზრდის – ფიზკულტურის აკადემიური გაკვეთილები, რომელიც კვირაში მხოლოდ ერთხელ ტარდებოდა. მართალია, ამ გაკვეთილებზე გამოცდილი ფიზიკური აღზრდის, ანუ სპორტის სპეციალისტები ავლენდნენ იმ მოსწავლეებს, რომელთაც შეუძლოთ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ვარჯიშის დაწყება, მაგრამ მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი ფაქტობრივად კვირაში ერთხელ ჩატარებული ე.წ. ფიზკულტურის გაკვეთილით საჭირო გამაჯანსაღებელ მოქმედებას ვერ ღებულობდა.

სპორტისა და სპორტული მედიცინის გამოცდილი სპეციალისტები ვიყავით აღფრთოვანებულნი, როდესაც დაიწყო მოწოდება ე.წ. სასკოლო სპორტის მასობრივად განვითარების თაობაზე, მაგრამ ეს არ მოხდა. სადღეისოდ სასკოლო სპორტი მოითხოვს დიდ მუშაობას, მის მაღალ მეთოდურ და თუგინდ მეცნიერულ დონეზე ჩატარებას. რასაკვირველია სპეციალური სპეციალურ საექიმო ცენტროლს სასკოლო სპორტი კვირაში არა ერთხელ, არამედ 3-4 ჯერ მაინც უნდა ტარდებოდეს, რათა სასურველი შედეგი მივიღოთ. მართალია დღეს ყველა სკოლა არ არის მზად რომ მან უზრუნველყოს სასკოლო სპორტის განვითარება, მაგრამ იქ სადაც ამის შესაძლებლობა არის (აქვთ სპორტული დარბაზები, სპორტული მოედნები და სხვ.), იმ სკოლებში ამ მიმართ ლეგით მთელი სერიოზულობით უნდა მოხდეს მუშაობის დაწყება ან გარდაქმნა.

უდავოდ მისასალმებელია ის ამბავი, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო საჯარო სკოლებში ექიმის საშტატო ერთეულების დაშვება, იგივე უნდა მოხდეს სპორტის სპეციალისტის მხრივაც. ამ ეტაპზე აუცილებლობა მოითხოვს, რომ საჯარო სკოლის ექიმებმა სათანადო ცოდნა მიიღონ ფუნქციური სინჯების ჩატარებაში. სკოლის ექიმს აქვს საკმარისი დრო იმისათვის, რომ თავისი მუშაობის საათებში კარგი ორგანიზაციის პირობებში ჩაუტაროს იმ მოსწავლეებს, ვინც მონაწილეობს სპორტულ ღონისძიებებში. სპორტული მედიცინის სპეციალისტები მზად არიან ჩაუტარონ სპეციალური რამოდენიმე დღიანი სემინარები, რათა სკოლის ექიმები დაეუფლონ და დაიწყოთ ამ მეთოდით სპორტსმენებ-მოსწავლეთა შემოწმება.

აუცილებლობა მოითხოვს გამაჯანსაღებელი სპორტით მომეცადინე პირთა სამედიცინო შემოწმების ტარიფების შემცირება. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ისეთი გამოკვლევა, რომლის დროსაც წარმოებს ექიმის მიერ ჩვეულებრივი გასინჯვა, ფიზიკური განვითარების გამოკვლევა (ანტროპომეტრია) და ტესტირება (ფუნქციური სინჯის ჩატარება) ყოველგვარი აპარატურისა და ლაბორატორიული გამოკვლევების გარეშე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში უნდა განისაზღვრებოდეს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ სპორტული მედიცინის საფუძველზე ნებისმიერი სპორტის განვითარებას პირველ რიგში სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მხოლოდ ასეთი გზითაა შესაძლებელი მოსახლეობის ფართო მასების გამოჯანმრთელება.

### რეზიუმე

## ნებისმიერი სპორტის განვითარება მხოლოდ სპორტული მედიცინის საფუძველზე უნდა წარმოებდეს

რ. სვანიშვილი  
(თბილისი, საქართველო)

აუცილებლობა მოითხოვს გამაჯანსაღებელი სპორტით მომეცადინე პირთა სამედიცინო შემოწმების ტარიფების შემცირება. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ისეთი გამოკვლევა, რომლის დროსაც წარმოებს ექიმის მიერ ჩვეულებრივი გასინჯვა, ფიზიკური განვითარების გამოკვლევა (ანტროპომეტრია) და ტესტირება (ფუნქციური სინჯის ჩატარება) ყოველგვარი აპარატურისა და ლაბორატორიული გამოკვლევების გარეშე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში უნდა განისაზღვრებოდეს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ სპორტული მედიცინის საფუძველზე ნებისმიერი სპორტის განვითარებას პირველ რიგში სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მხოლოდ ასეთი გზითაა შესაძლებელი მოსახლეობის ფართო მასების გამოჯანმრთელება.

### SUMMARY

## EVERY SINGLE TYPES OF SPORT SHOULD BE DEVELOPED ON THE BASIS OF SPORTS MEDICINE

R.SVANISHVILI  
(Tbilisi, Georgia)

Necessity demands to reduce the prices of medical examinations for every sportsman. I think it's advisable that ordinary examinations that are performed by the doctors, like examinations of physical development (Anthropometry) and tests without any equipment and laboratory analysis (functional tests), must be available for everyone for wholesale prices.

Let's not forget that development of every sport on the basis of sports medicine has governmental importance, because it is the only way to recover wide range of population.





# სპორტსმენის სწორი კვებისა და რეჟიმის მართვის თანამედროვე მართვის მოთხოვნები

ბ.ჩაშნაშვილი, ზ.კახაბრიშვილი  
(თბილისი.საქართველო)

სპორტულ მედიცინაში გულ-სისხლძარღვთა სისტემა მოითხოვს ასაკობრივად სპორტსმენთა ვარჯიშთა რაციონალურად წყობას დოზირებული დატვირთვით, შრომისუნარიანობის კონტროლს, რათა თავიდან იქნას აცილებული ახალგაზრდა სპორტსმენთა დაავადებები. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სპორტულ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება მრავალი ფარმაცოლოგიური საშუალებები და ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატები, ზოგადი და სპეციფიკური შრომისუნარიანობის ამადლებების მიზნით. არც თუ იშვიათად ზოგიერთი ფარმაცოლოგიური პრეპარატი და ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატი (ბადი) ითქვამს სახელს როგორც „სასწაულმოქმედი“ საშუალება, რომელიც ვითომდა განაპირობებს უმოკლეს ვადაში სპორტსმენთა მაღალი შედეგების მიღწევას და ამ დროს მიზანმიმართულ საწვრთნო პროცესს ნაკლები ეფერადლება ეთმობა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მედიკო-ბიოლოგიურად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენება ზოგიერთი იმ ფარმაცოლოგიური საშუალებებისა და ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატებისა, რომლებიც არ შედიან დოპინგის ჯგუფის პრეპარატებში და არ აზიანებს სპორტსმენის ჯანმრთელობას, აუცილებელიც კი არის თანამედროვე სპორტში არსებული ფიზიკური დატვირთვებისადმი მოთხოვნილებების შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით სპორტული ფარმაცოლოგია და სპორტული კვება ემყარება საერთო კლინიკურ პრაქტიკაში არსებული სამკურნალო საშუალებების გამოყენების ძირითად პრინციპებს:

- 1) აუცილებელია თავიდან ავიცილოთ ერთმანეთთან შეუთავსებელი პრეპარატების გამოყენება;
- 2) ერთდროულად რამოდენიმე დასახელების ფარმაცოლოგიური საშუალებებისა და ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს რთული ალერგიული რეაქცია;
- 3) გამოყენებული ნივთიერებები არ უნდა იკრძალებოდეს მსოფლიოს ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ;
- 4) ფარმაცოლოგიური საშუალებებისა და ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატების ხანგრძლივი გამოყენების შემთხვევაში დიდი საშიშროებაა, რომ განვითარდეს შეგუებულობა, რაც თავისთავად გამოიწვევს ამ პრეპარატის ეფექტის დაქვეითებას.

სპორტული ფარმაცოლოგიისა და სპორტული კვების ძირითადი ამოცანები შეიძლება შემდგენაირად განისაზღვროს:

1. სპორტსმენთა შრომისუნარიანობის გაუმჯობესება, ე.ი. ადაპტაციური მექანიზმების გაფართოება, განსაკუთრებით უჩვეულო სავარჯიშო ან საშეჯიბრო პირობებისადმი (მაგალითად, მკვეთრი ცვლილება საათის სარტყლის, მაღალმთიანი პირობები, ძალიან ცხელი კლიმატი და ა.შ.);
2. ინტენსიური ფიზიკური დატვირთვების შემდეგ აღდგენითი პროცესების დაჩქარება;
3. ინტენსიური ფიზიკური დატვირთვებით გამოწვეული ორგანიზმის იმუნიტეტის შესუსტებისა და დათრგუნვის პრევენცია ან კორექცია;
4. ტრავმებისა და სხვადასხვა დაავადებების მკურნალობისათვის;

აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად სპორტულ მედიცინაში გამოიყენება სხვადასხვა ჯგუფის ფარმაცოლოგიური პრეპარატები და ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატები: 1) ამინომჟავებისა და კომპლექსური ცილოვანი კვებითი დანამატები;

- 2) ვიტამინები;
- 3) არატეროიდული ანაბოლური საშუალებები;
- 4) ჰეპატოპროტექტორები;
- 5) ჰემოსტიმულატორები და კაპილარული სისხლის მიმოქცევის სტიმულატორები;
- 6) იმუნომოდულატორები;
- 7) მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ადაპტოგენები;
- 8) ანტიოქსიდანტები;
- 9) ენერგეტიკული სუბსტრატები;
- 10) ელექტროლიტები და მინერალები;
- 11) ნახშირწყლებით გაჯერებული ნარევიები;
- 12) კომბინირებული კვებითი დანამატები და ფარმაცოლოგიური საშუალებები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები პირობითად ჩვენ შეგვიძლია დავეყოთ ტაქტიკურ და სტრატეგიულ საშუალებებად, არსებული ამოცანების მიხედვით. ფარმაცოლოგიური საშუალებების ტაქტიკურ ჯგუფში შეიძლება იყოს გაერთიანებული: ვიტამინები, ენერგეტიკული საშუალებები, ამინომჟავები და ცილოვანი პრეპარატები, ანტიოქსიდანტები, იმუნომოდულატორები, ჰეპატოპროტექტორები და სამედიცინო ჩვენებებით საჭირო სამკურნალო პრეპარატები. სტრატეგიულ ჯგუფში შეიძლება გაგაერთიანოთ: არასტეროიდული ანაბოლური საშუალებები, ჰემოსტიმულატორები და კაპილარული სისხლის მიმოქცევის სტიმულატორები. თამანდროვე სპორტული მედიცინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს მწვავე და ქრონიკული გადაძაბვის ეფექტური პროფილაქტიკა და მკურნალობა (თელია ზ., 1979). იმისდა მიხედვით, თუ რომელი ორგანოთა სისტემა არის დაზიანებული, შესაძლებელია გამოვიყენოთ გადაძაბვის ოთხი კლინიკური ფორმა:

- 1) ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) გადაძაბვა;
- 2) გულ-სისხლძარღვთა სისტემის გადაძაბვა;
- 3) ღვიძლის გადაძაბვა;
- 4) საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის გადაძაბვა;

ცნს-ის გადაძაბვის სინდრომი უფრო ხშირად ვკვებდება სპორტის კოორდინაციულ სახეობებში, მომზადების სპეციფიურ ფაზაში (ტანვარჯიში, აკრობატიკა). ამასთან, კლინიკა შესაძლებელია გამოხატული იყოს როგორც ცნს-ის დათრგუნვით, ასევე ზედმეტად აგზნებით. ცნს-ის დათრგუნვის შემთხვევაში, როდესაც სპორტსმენი აღნიშნავს სისუსტეს, აპათიას, არტერიული წნევის დაქვეითებას, ვარჯისისადმი ინტერესის დაქვეითებას, ამ დროს გამოიყენება მატონიზირებელი და მასტიმულირებელი საშუალებები: ეენ-შენი, როდასკონი, სტიმოლი, უვიმაგი და სხვა. მომატებული აგზნებადობის შემთხვევაში, როდესაც აღვილი აქვს ძილის დარღვევას, აგზნებადობას, გამოიყენება მსუბუქი სედატიური საშუალებები; ვალერიანის ნაყენი, ნოვოპასიტი, სომნოლი და სხვა.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის გადაძაბვის შემთხვევაში კი, რომელიც აისახება სპორტსმენის ელექტრო-

კარდიოგრაფიულ (ეკგ) ცვლილებებზე, ამ დროს აუცილებელია დაუყოვნებლივ შეიზღუდოს ფიზიკური დატვირთვები და სხვა პროცედურებთან ერთად გამოყენებულ იქნას ფარმაკოლოგიური საშუალებები: მილდრონატი, ინოზინი, კარტანი, ( – კარნიტინის პიდროქლორიდი 10), კოკარნიტი, ატფ, კალიუმის პრეპარატები და სხვა. ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა თანა მედროვე სპორტული მედიცინის პრაქტიკაში ისეთი ფარმაკოლოგიური საშუალება, როგორც არის 3-(2,2,2-ტრიმეთილჰიდრაზინი) პროპიონატ დიჰიდრატი, -ბუტირობეტაინის სტრუქტურული ანალოგი – მილდრონატის სახით. აღნიშნული ფარმაკოლოგიური პრეპარატი იწვევს: 1) ორგანიზმში ჟანგბადის მოხმარების პროცესის ოპტიმიზაციას, 2) აუმჯობესებს თავის ტვინისა და პერიფერიული სისხლის მიმოქცევას; 3) ზრდის უჯრედების შეგუებულობას და ფუნქციონირებას არახელსაყრელ პირობებში; 4) ააქტიურებს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირებას. როგორც ცნობილია, ნორმალურ პირობებში, კარდიოლოგიურ პრეპარატი ენერჯის წარმოქმნის ძირითად სუბსტრატებს წარმოადგენენ თავისუფალი ცხიმოვანი მჟავები, რომელთა დაჟანგვისათვის აუცილებელია დიდი რაოდენობით ჟანგბადი და ასევე მიტოქონდრიების მემბრანების გავლით აქტიური ტრანსპორტირებისათვის საჭირო გადამტანი – კარნიტინის სახით, სადაც შემდეგ ხორციელდება ბეტა-ოქსიდაცია. სულ ახლახანს დადგენილი იქნა, რომ გულის კუნთი ძლიერი ადრენორეგულ გალიზიანებაზე პასუხობს არა ცხიმების, არამედ გლიკოგენის ჟანგვით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ნაპოვნი იქნას საშუალება, რომელიც დაბლოკავს ან ნაწილობრივ შეზღუდვას მაინც ცხიმოვანი მჟავების ნაკადს მიტოქონდრალური მემბრანების გავლით. ცხიმოვანი მჟავების ბეტა-ოქსიდაციის ბლოკირების სამი ვარიანტი არსებობს; პირველი მათგანი ემყარება იმ ფუნდამენტების ინჰიბირებას, რომლებიც განაპირობებენ მიტოქონდრიებში ცხიმოვანი მჟავების ბეტა-ოქსიდაციის პროცესს. ასეთი მოქმედება გააჩნია პრედუქტალს (ტრიმეტადაზინი). ამ დროს, რა თქმა უნდა, თავიდან ვერ ვიცივლებთ მიტოქონდრიებში ცხიმოვანი მჟავების დაგროვებას. მეორე მაქანიზმი მდგომარეობს იმ ფერმენტების ინჰიბირებაში, რომლებიც ახდენენ მიტოქონდრალური მემბრანის გავლით ცხიმოვანი მჟავების ტრანსპორტირებას. ასეთი მექანიზმი გააჩნია პრეპარატ ეტომოქსოლს, რომელსაც ჯერ-ჯერობით კლინიკური გამოკვლევების ყველა სტადია არ გაუვლია. ცხიმოვანი მჟავების ბეტა-ოქსიდაციის შესაბამისი მდგომარეობის იმ ნივთიერებების ბიოსინთეზის ინჰიბირებაში (კარნიტინი), რომლებიც გვევლინება როგორც ცხიმოვანი მჟავების გადამტანი მიტოქონდრალური მემბრანის გავლით. სწორედ კარნიტინი წარმოადგენს იმ ნივთიერებას, რომელიც ცხიმოვან მჟავებს აწვდის მიტოქონდრიებს. ექსპერიმენტული შედეგების შედეგად – ხ-Vივო, დამტკიცდა, რომ მილდრონატის 10 დღიანი პროფილაქტიკური კურსის შედეგად გლუკოზის აერობული ჟანგვის პროცესი შენარჩუნებულ იქნა ვირთხის იზოლირებულად პერფეზირებად ჯგუფში. ამრიგად, მილდრონატის ზემოქმედებით იბლოკება ცხიმოვანი მჟავების ტრანსპორტირება მიტოქონდრიებში, რის შედეგადაც ატფ-ის წარმოქმნის პროცესი ცხიმოვანი მჟავების ჟანგვიდან გადაერთვება გლუკოზის ჟანგვაზე. მილდრონატი უფროდ არის ეფექტური და ძალზე პერსპექტიული ფარმაკოლოგიური საშუალება ორგანიზმის ისეთი პათოლოგიური ან სტრესული მდგომარეობისას, სადაც მნიშვნელოვან პათოგენეტიკურ როლს წარმოადგენს ჟანგბადის დეფიციტი. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს რეკომენდაცია გაუწიოთ აღნიშნული პრეპარატის გამოყენებას სპორტსმენებში მაღალი ფიზიკური დატვირთვის დროს. ფიზი-

კური შრომისუნარიანობის გაუმჯობესება მილდრონატის გამოყენების ფონზე დაფიქსირდა უკანასკნელ წლებში ჩატარებულ მრავალ გამოკვლევებში. ნიშნობებს და ხელბურთელებს 2-3-კვირიანი კურსის მიღების შემდეგ (დაახლოებით 1კ დღეში) აღენიშნებათ შრომისუნარიანობის მომატება და დატვირთვის შემდეგ აღდგენითი პროცესების გაუმჯობესება. განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია მილდრონატის გამოყენების დადებითი ეფექტი ფიზიკური დატვირთვის ფონზე. როგორც ცნობილია, სპორტსმენების ფიზიკური შრომისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის ფართოდ გამოიყენება კარნიტინი. მაგრამ უნდა არინიშნოს, რომ კარნიტინის ეფექტი გამოწვეულია, უპირველეს ყოვლისა, მიტოქონდრიებში ცხიმოვანი მჟავების ნაკადის გაზრდით, რომლებიც საკმაო რაოდენობის ჟანგბადის არსებობის შემთხვევაში წარმატებით იჟანგებიან მიტოქონდრიებში წარმოქმნიან დიდი რაოდენობის ენერჯიას. მაგრამ აუცილებელი პირობაა მიოკარდში აღქვებულ რაოდენობის ჯანგბადის არსებობა, როდესაც მილდრონატის კონცენტრაცია ქსოვილებში მაღალია, კარნიტინის ბიოსინთეზი დათრგუნულია. როცა მილდრონატის კონცენტრაცია მცირდება, კარნიტინის კონცენტრაცია იზრდება. ეს მოვლენა ჩვენ საშუალებას გვაძლევს მიზანმიმართულად მოვახდინოთ „გადართვა“ ატფ-ის წარმოქმნის სხვადასხვა მექანიზმებზე. რისი გათვალისწინებაც აუცილებელია ამ პრეპარატის გამოყენებისას, სპორტული მედიცინის პრაქტიკაში. არ შეიძლება ჩვენ ხელოვნურად – კარნიტინის გამოყენებით (L კარნიტინი) გავაგრძელოთ ცხიმოვანი მჟავების ჟანგვის პროცესი, რათა მივიღოთ სასურველი ცხიმების დაწვის ეფექტი (მაგალითად, სპორტსმენის წონის კლებისას) და არ გავითვალისწინოთ არსებული ფიზიკური დატვირთვის ინტენსივობა, შესაბამისად მიოკარდისა და სხვა ქსოვილების ჟანგბადის საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფის საკითხი. რაც შეეხება „აპივიტს“ უნდა აღინიშნოს, რომ თსსუ კლინიკის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა კვლევა პარაკლინიკური საშუალების „აპივიტი“- ის უსაფრთხო და მისი მოქმედების ეფექტიანობის შესწავლის მიზნით. „აპივიტი“ წარმოადგენს ბუნებრივ მაღალხარისხოვან და ბიოლოგიურად აქტიურ პროდუქტს. ყოველი აბი შეადგენს: ვალინი – 5.5-6%, ლიზინი – 5.9-7%, ლეიცილინი – 5.8-6.7%, ვლუტამინის მჟ. 9.1%, ცისტინი – 0.6% და სხვა. საშუალოდ 20% პროტეინს ალბუმინების სახით, ზოგადად: A, B1, B2, B5, B6, C, E, D, PP, ფოლის მჟავას, ბიოტინს, თირიზინს და სხვა. გლუკოზიდი – რუთინი. მინერალებს: ე. გ. ჩა და სხვა. ყოველივე ზემო აღნიშნულის გამო მიმდინარეობდა სპორტსმენთა შესწავლა სუბიექტურ და ობიექტურ მონაცემებთან ერთად კლინიკო-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის გათვალისწინებით. დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 12-15 წლის 150 ბავშვი (მოზარდი სპორტსმენები), რომლებიც დაყოფილი იყვნენ სამ ჯგუფად. (თითოეულში 50 ადამიანი), რომლებიც მისდევდნენ კლასიკურ ჭიდაობას, ძიუდოს და თავისუფალ ჭიდაობას. თითოეული აღნიშნული ჯგუფი დაყოფილი იყო კიდევ ორ ქვეჯგუფად. ერთი ქვეჯგუფი იღებდა ბიოდანამატს აბების სახით, ხოლო მეორე – არა. რაოდენობრივი მაჩვენებლების სარწმუნოობის შეფასება ხდებოდა სტრუქტურული კრიტერიუმით (გ), ხოლო ხარისხოვანი მაჩვენებლების შეფასება – 2 კრიტერიუმით. ჯგუფებს შორის შედარება ხდებოდა ვარსონ-ით. განსხვავება სარწმუნოდ ითვლებოდა, თუ  $t > 1.96$ ;  $3.84$ ;  $P < 0.05$  „აპივიტი“ წარმოადგენს ბუნებრივ, ნატურალურ მცენარეულ კომპონენტთა ჯამს: ფუტკრის ნაწარმი+წიწვოვანი ექსტრაქტი+ყურძნის წიპვა, სუპერჯანმრთელობის ელექსირი მდიდარია თითქმის ყველა იმ ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტებით, რომლებიც





აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური ცხოვლებმოქმედებისათვის და ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის. ესენია: ცილები (შეიცავს ამონომჟავების 22 სახეობას მათგან 5 შეუცვლელს), აქტიური ლიპიდები, მათ შორის უჯერი ცხიმოვანი მჟავები, გლიკოზიდები, ვიტამინები (A, B, C, D, PP, E, K, ...), რუტინი (სისხლძარღვის კედლის გამამაგრებელი ბიოფლავინოიდი), ფოსფორინები მატ შორის ბეტა-სიტოსტერინი, რომელიც განაპირობებს ორგანიზმში ჰორმონალური ნივთიერებების სინთეზს (მეთილტესტოსტერონი), ტრიტერპენოვანი ოქსი ოლიგონოლის მჟავა, მიკროელემენტებით. ( ე.ძ, ჩუ, )

ვიწროვანი ექსტრაქტ-ქლოროფილით, ყურძნის წიპწა და სხვა. გვერდითი მოვლენები გამოვლენილი არ არის, დოზირება: 6 თვიდან 1 წლამდე 1/4 აბი 2-ჯერ დღეში; 1 წლიდან 3 წლამდე 1/3 აბი 3-ჯერ დღეში; 3 წლიდან 6 წლამდე 1 აბი 3-ჯერ დღეში; 6-დან 12 წლამდე 1,5 აბი 3-ჯერ დღეში; 12 წლიდან 2 აბი 3-ჯერ დღეში; მკურნალობის კურსი ერთი თვე. განმეორებითი კურსი რეკომენდირებულია 3 თვეში ერთხელ. შეიძლება დაიფშენას და მოეყაროს თბილ საკვებს. მიღების რეკომენდირებული დროა დღით 9-10სთ. 13სთ-დან 15სთ-მდე, 17სთ-დან 19სთ-მდე. ექიმის დანიშნულებით. გამოშვების ფორმა: ორი 30 ტაბლეტიანი ფლაკონი. ტაბლეტები თავისი არმატით. აქვე აღნიშნავთ, რომ ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი დადებითი შედეგებია მიღწეული სპორტსმენებში შემდეგი კომბინაციური მკურნალობით: კარტანი+აპიფიტი, კარტანი+აპიკორი, კარტანი+აპიპულმო, კარტანი+აპიპეპატი, შესაბამისად გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის, კვაპტო და რენალური სისტემათა მხრივ. ჩვენ ვარაუდობთ, რომ ამ მიმართულებით კვლევათა გაგრძელება და გაღრმავება გააუმჯობესებს სპორტსმენებში დაავადებათა პრევენციას, რეაბილიტაციას და იმუნორეაბილიტაციის საკითხებს. სპორტულ მედიცინაში ფართოდ ჰპოვა გამოყენება ისეთმა ფარმაკოლოგიურმა საშუალებამ, როგორიცაა „ციტრარგინი“, რომლის შემადგენლობაში შედის ამონომჟავა – არგინინი 1გ, ბუტინი (DCI) ნეიტრალური ციტრატო 0,5გ, ბუტინის ქლორიდრატი – 0,5გ, არგინინი არის ნივთიერებათა ცვლის შეუცვლელი კომპონენტი. არგინინი მიეკუთვნება პირობით შეუცვლელ ამონომჟავებს. ჩვეულებრივი კვების დროს არგინინის რაოდენობა ვერ აესებს იმ მომატებულ მოთხოვნილებას, რომელიც გააჩნია ორგანიზმს. არგინინი არის ერთ-ერთი პოპულარული ამონომჟავა ა.შ.შ.-ში თავისი თვისებების გამო. ციტრარგინი გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის: ღვიძლის დისფუნქცია საჭმლის მომწელებელი პროცესის დარღვევის დროს, ჰიპერტონიული დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის. არგინინს გადააქვს აზოტი, ამავრებს აზოტით ფერმენტულ სისტემას, კერძოდ სინთეზს. არგინინი იხმარება ართრიტების და შემავრთებელი ქსოვილების დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. არგინინი იწვევს იმუნური სისტემის გაძლიერებას და იხმარება იმუნოდეფიციტური მდგომარეობის დროს (ავრეთვე შიდსის დროსაც). არგინინი აუცილებელია კუნთის მეტაბოლიზმისთვის, აგრეთვე კუნთის სიძლიერისა და ზომის მომატებისათვის. არგინინი წმინდავს კუნთებს აზოტის შლაკებისაგან, მას შეუძლია კუნთოვანი ქსოვილის მომატება, იწვევს ორგანიზმის ცხიმოვანი ქსოვილის შემცირებას, რის შედეგადაც ადამიანის სხეული ხდება მსუბუქი. დოზირება – 1-დან 3 ამპულამდე დანიშნულების მიხედვით 40 წუთით ადრე ჭამამდე (1 ამპულა იხსნება 100 მლ წყალში). ფართოდ ჰპოვა გამოყენება აგრეთვე პრეპარატმა „უვიამგამ“, რომელიც შეიცავს გ – 500 მგ, 6 – 125 მგ, იგი გამოიყენება სპორტსმენებში დაკარგული ენერჯის აღსად-

გენად. სპორტსმენთა წონის კლების პროცესში ფართო გამოყენება ჰპოვა ისეთმა ფარმაკოლოგიურმა საშუალებამ როგორცაა „აცეტილ-კარნიტინი“ იგი წარმოადგენს ამინომჟავა „-კარნიტინის“ მოდიფიცირებულ ფორმას და არის კუნთოვან უჯრედებში ცხიმის ნივთიერებათა ცვლის ბუნებრივი რეგულატორი. აღნიშნული პრეპარატი აძლიერებს ტრიგლიცერინების შედწევის უჯრედის მემბრანაში და ამგვარას ხდება ცხიმის ჩართვა ენერჯის გამომშვებებაში. ხანგრძლივი ფიზიკური დატვირთვების დროს, რის შედეგადაც ვიღებთ კანქვეშა ცხიმის უტილიზაციის და მიხი რაოდენობის შემცირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ცხიმოვანი მჟავების დაჟანგვისას 1 მილეკულა ატფ-ის მიღებაზე იხარჯება 10-12%-ით მეტი ენერჯი ვიდრე გლუკოზის დაჟანგვისას. შესაბამისად, აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას „L-კარნიტინის“ გამოყენების ის გარემოება, რომ კარტანი ავლენს ნეიროტროპულ მოქმედებას, ამუხრუჭებს აპოფტოზის განვითარებას, შემოფარგლავს დაზიანებულ ზონას, ადადგენს ნერვული ქსოვილის სტრუქტურას. რაც შეეხება ღვიძლის გადაძაბვას, რომელიც ვლინდება ღვიძლის ტკივილის სინდრომით, განსაკუთრებით გამძლეობაზე ვარჯიშის შედეგად, უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს კვების რეჟიმს. მაქსიმალურად უნდა შემცირდეს კვების რაციონში ცხოველური ცხიმების რაოდენობა, უნდა შეიზღუდოს ზღვის პროდუქტები და უნდა გაიზარდოს საკვები ნახშირწყლების რაოდენობა. ასევე ნაღვლმდენი ეფექტის გაძლიერების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას მინერალური წყლები, ასკილი, პრეპარატების სახით: ნეგალინი, კარსილი, ანტისპაზმური პრეპარატები (მაგ. ნოშპა) და კვაპტოპროტექტორი ესენციალის სახით და სხვა. დაძაბული კუნთები მუშაობა, განსაკუთრებით ანაერობულ რეჟიმში, სწორად იწვევს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ტკივილის სინდრომს (კუნთებში, სახსრებში). ამ შემთხვევაში უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ფიზიკური დატვირთვების ინტენსივობის შემცირება და ძალისმიერი ვარჯიშების გამორიცხვა. მიზანშეწონილია ბალნეოპროცედურების, მასაჟის, ბაროკამერების და სხვა პროცედურების გამოყენება. ფარმაკოლოგიური საშუალებებიდან შეიძლება გამოყენებული იქნას ანტი-სპაზმური და სისხლძარღვთა გამაფართოებელი პრეპარატები: ნო-შპა, ნოკოშპანი, ტრენტალი და სხვა. ჩვენი აზრით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისეთი ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატები, როგორცაა კრეატინი, აპიკორი, აპიპინი (აპიპულმო) და აპიპინკო (აპიპეპატი). 90-იანი წლების შემდეგ არ არსებობს უფრო პოპულარული კვებითი დანამატი, ვიდრე კრეატინია. დღემდე აღნიშნული ნივთიერება რჩება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ოფიციალურად ლეგალიზებულ საშუალებად სპორტსმენის შრომისუნარობის ამაღლების პროცესში. ადამიანის ორგანიზმი კრეატინის სინთეზს ასდენს სამი ამინომჟავისაგან: გლიცინი, არგინინი და მეთანონი. კრეატინი შეიძლება წარმოიქმნას ღვიძლში, კუჭქვეშა ჯირკვალსა და თირკმელებში, საიდანაც შემდეგ სისხლით ტრანსპორტირდება კუნთებში. დაახლოებით 95% ორგანიზმში არსებული კრეატინის მარაგიდან განთავსებულია ჩონჩხის კუნთებში, დარჩენილი 5% – გულში, თავის ტვინში და სხვა ორგანოებში. ადამიანის ორგანიზმში კრეატინი გვხვდება თავისუფალი სახით და ფოსფო-კრეატინის სახით. ჩონჩხის კუნთებში კრეატინის 2/3 სწორედ ფოსფოკრეატინის სახით არის განთავსებული. კრეატინის ფხვნილი – თეთრი, უსუნო, თითქმის უგემურია. კრეატინის მიღებას რამდენიმე დადებითი ეფექტი გააჩნია. სპორტსმენებისათვის იგი ზრდის სხეულის კუნთის მასას, უფრო შრომისუნარი-





ანს ხდის მას. დამატებითი კვების სახით მიღებული კრეატინი ამცირებს ქოლესტერინის რაოდენობას პლაზმაში. ფოსფო-კრეატინი იცავს ორგანიზმის ცენტრალურ ნერვულ სისტემას ჰიპოქსიის პირობებში, იგი ფართოდ იხმარება კუნთის ატროფიის დროს და სხვა. მრავალი დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ კრეატინ-მონოჰიდრატის მიღების შემდეგ ორგანიზმში რაიმე გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

„აპიკორი“ – ორი ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტებით მდიდარი პროლუქტის ფუტკრის ნაწარმისა და ყურძნის წიპვის ნახაფია. ყურძნის წიპვა ამცირებს დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდებს და საერთოდ ქოლესტერინის შემცველობას სისხლში, რის შედეგადაც ათეროსკლეროზის პროგრესირება ფერხდება. ქართული ფუტკრის მიერ შეგროვილი ყვავილის მტვერი კი მდიდარია ორგანიზმის შენების, განვითარებისა და სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერებებით: ცილებით (შეიცავს ამონომეალების 22 სახეობას, მათგან 8 შეუცვლელს), ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავებით, გლიკოზიდებით, ვიტამინებით (A, B, C, D, PP, E, K, ), ფოსფორტერინებს, რუტინით (სისხლძარღვის კედლის გამამაგრებელი ბიოფლაავინოიდი), მიკრო და მაკროელემენტებით. აუმჯობესებს ცხიმოვან ცვლას, სისხლძარღვის კედელში ამცირებს ქოლესტერინს, აუმჯობესებს მხედველობას. ხელს უწყობს ორგანიზმის გაწმენდას, წონაში დაკლებას, აძლიერებს იმუნიტეტს. ხსნის ნერვულ დაძაბულობას სტრესების დროს, ორგანიზმს მატებს ტონუსს (ამარაგებს ენერგიით ცხიმების ცვლის ხარჯზე), აუმჯობესებს ძილს. გამოაქვს ტოქსინები, ხსნის „პახმელიას“. აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, კუჭის, ღვიძლის, ელენთის ფუნქციას. ინდივიდუალური აუტანლობა გვერდითი მოვლენები გამოვლენილი არ არის. დოზირება: 6 თვიდან 1 წლამდე 1/4 აბი 2-ჯერ დღეში; 1 წლიდან 3 წლამდე 1/3 აბი 3-ჯერ დღეში; 3 წლიდან 6 წლამდე 1 აბი 3-ჯერ დღეში; 6-დან 12 წლამდე 1,5 აბი 3-ჯერ დღეში; 12 წლიდან 2 აბი 3-ჯერ დღეში; მკურნალობის კურსი ერთი თვე. განმეორებითი კურსი რეკომენდირებულია 3 თვეში ერთხელ. მიღების წესია: ჭამამდე 15 წუთით ადრე, ან ჭამის დროს ნახევარი ჭიქა წყლის დაყოფებით, ან შეიძლება დაიფშვანას და მოეყაროს თბილ საკვებს. მიღების რეკომენდირებული დროა დილით 9-10სთ. 13სთ-დან 15სთ-მდე, 17სთ-დან 19სთ-მდე ექიმის დანიშნულებით. გამოშვების ფორმა: ორი 30 ტაბლეტიანი ფლაკონი. შესაბამისად, ჩვენ რომ მივიღოთ სასურველი შედეგი აღნიშნული პრეპარატის გამოყენებით ისე, რომ არ დავაზიანოთ კუნთოვანი უჯრედები და განსაკუთრებით გულის კუნთი, პრეპარატის მიღება უნდა მოხდეს ძირითადად დაბალი და საშუალო ინტენსივობის ხანგრძლივი აერობული ვარჯიშების ფონზე.

ბული დროა დილით 9-10სთ. 13სთ-დან 15სთ-მდე, 17სთ-დან 19სთ-მდე ექიმის დანიშნულებით. გამოშვების ფორმა: ორი 30 ტაბლეტიანი ფლაკონი. ტაბლეტები თავისი არომატით. აპიკორი წარმოადგენს ორი ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტებით მდიდარი პროლუქტის ფუტკრის ნაწარმისა და წიპვის ნაწარმის ნახაფს. გრძელი ხორბულისა და ფრენის დიდი რაოდენობის მქონე ქართული ფუტკრის მიერ შეგროვილი ყვავილის მტვერი მდიდარია ორგანიზმის შენების, განვითარებისა და სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერებებით: ცილებით (შეიცავს ამონომეალების 22 სახეობას, მათგან 8 შეუცვლელს), ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავებით, გლიკოზიდებით, ვიტამინებით (A, B, C, D, PP, E, K, ), ფოსფორტერინებს, რუტინით (სისხლძარღვის კედლის გამამაგრებელი ბიოფლაავინოიდი), მიკრო და მაკროელემენტებით. (Fe, Zn, Cu, F) წიპვის ნაწარმი ექსტრაქტი-ქლოროფილით. გვერდითი მოვლენები გამოვლენილი არ არის, დოზირება: 6 თვიდან 1 წლამდე 1/4 აბი 2-ჯერ დღეში; 1 წლიდან 3 წლამდე 1/3 აბი 3-ჯერ დღეში; 3 წლიდან 6 წლამდე 1 აბი 3-ჯერ დღეში; 6-დან 12 წლამდე 1,5 აბი 3-ჯერ დღეში; 12 წლიდან 2 აბი 3-ჯერ დღეში; მკურნალობის კურსი ერთი თვე. განმეორებითი კურსი რეკომენდირებულია 3 თვეში ერთხელ. მიღების წესია: ჭამამდე 15 წუთით ადრე, ან ჭამის დროს ნახევარი ჭიქა წყლის დაყოფებით, ან შეიძლება დაიფშვანას და მოეყაროს თბილ საკვებს. მიღების რეკომენდირებული დროა დილით 9-10სთ. 13სთ-დან 15სთ-მდე, 17სთ-დან 19სთ-მდე ექიმის დანიშნულებით. გამოშვების ფორმა: ორი 30 ტაბლეტიანი ფლაკონი. შესაბამისად, ჩვენ რომ მივიღოთ სასურველი შედეგი აღნიშნული პრეპარატის გამოყენებით ისე, რომ არ დავაზიანოთ კუნთოვანი უჯრედები და განსაკუთრებით გულის კუნთი, პრეპარატის მიღება უნდა მოხდეს ძირითადად დაბალი და საშუალო ინტენსივობის ხანგრძლივი აერობული ვარჯიშების ფონზე.

### რეზიუმე

## სპორტსმენის სწორი კვებისა და რეჟიმის მართვის თანამედროვე მართვის მოთხოვნები

ბ. ჩაშნაშვილი, ზ. კახაბრიშვილი (თბილისი, საქართველო)

სპორტულ მედიცინაში გულ-სისხლძარღვთა სისტემა მოითხოვს ასაკობრივად სპორტსმენთა ვარჯიშთა რაციონალურად წყობას დოზირებული დატვირთვით, შრომისუნარიანობის კონტროლს, რათა თავიდან იქნას აცილებული ახალგაზრდა სპორტსმენთა დაავადებები.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა და ჩვენი დაკვირვებები ცხადყოფს, მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორების და სწორი დღის რეჟიმის გათვალისწინებით არის შესაძლებელი უარყოფითი ეფექტის გარეშე მოვახდინოთ სპორტსმენის წონის კორექცია და მათი შრომისუნარიანობის ეფექტურობის გაზრდა.

### SUMMARY

## MODERN DEMANDS OF SPORTSMEN PROPER NUTRITION AND REGIME GOVERNING

G.CHAKHUNASHVILI, Z.KAKHABRISHVILI (Tbilisi, Georgia)

In sports medicine, cardio-vascular system needs appropriate training regime with rational load and control of ability to work in order to avoid the diseases of young sportsmen.

As world's experience and our observation shows, only with the factors listed above and with the help of proper regime is possible to regulate sportsmen weight without any negative effects and increase their ability to work.



პრაქტიკოსი ექიმაბისათვის

ინფორმაცია გავშვთა კარდიო-რევატოლოგიათვის:

შეშუშავებულია:

1. დიპლომის შემდგომი/სარეზიდენტო პროგრამა საექიმო სპეციალობაში „ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია“ (ხანგრძლივობა 3 წელი – 33 თვე)

2. დასწრებული უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები:

- ა) „გულის ანთებითი და არაანთებითი შექნილი დაავადებების (კარდიტის, კარდიომიოპათია, ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონია, არტერიული ჰიპერტენზია, არტერიული ჰიპოტონია, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის იშემიური დაავადება) პათოგენეზის, დროული დიაგნოსტიკის მკურნალობის, პროგნოზირებისა და რეაბილიტაციის თანამედროვე პრინციპები.“
ბ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანების დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროგნოზირებისა და რე-

აბილიტაციის თანამედროვე პრინციპები იუვენილური რევმატიოიდული ართრიტის, სისტემური წითელი მგლურას, მიტრალური სარქველის პროლაბირების და გულის რიტმის დარღვევების დროს ბავშვთა ასაკში.

გ) „კარდიომიოპათიის და კარდიტების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია.“

დ) „ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებების დიაგნოსტიკური ღირებულება ბავშვთა და მოზარდთა კარდიო-რევმატოლოგიასა და სხეულის სპორტული დატვირთვისას (არითმია, რითმის სრული დარღვევა, კორონარული უკმარისობა, ახალშობილთა ტრანზიტორული იშემია და ა.შ.).“

პროგრამების ხელმძღვანელი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბიომრბი ჩახუნაშვილი

კარდიოლოგიის თეორიული საფუძვლები

179. მულტიფოკალური წინაგულოვანი ტაქიკარდიის კრიტერიუმებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი წინაგულოვანი ექსტრასისტოლა არათანაბარი P-P ციკლით და ცვალებადი P-Q ინტერვალებით, შეკუმშვის სისძირით 100/200 წთ-ში;
ბ) P კბილის ფორმის ცვალებადობა;
გ) ზოგიერთი წინაგულოვანი ექსტრასისტოლა შესაძლოა არ გატარდეს პარკუჭებამდე;
დ) QRS კომპლექსის ფორმა ისეთივეა, როგორც რეგულარული კარდიალური რიტმის დროს;
\*ე) P-P და P-R ინტერვალების ცვალებადობა დაკავშირებულია სუნთქვის ფაზებთან.

180. წინაგულების თრთოლვის კრიტერიუმებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) წინაგულებში არსებული რომელიმე ერთი ექტოპიური კერა აღიზნება მაღალი - 220-350 იმპ/წთ სისძირით;
\*ბ) პარკუჭოვანი პასუხი აუცილებლად არარეგულარულია;
გ) QRS კომპლექსის ფორმა ისეთივეა, როგორც რეგულარული კარდიალური რიტმის დროს;
დ) პარკუჭოვანი პასუხი შეიძლება იყოს რეგულარული - 1:1, 2:1, 3:1 და ა.შ.

181. წინაგულების ციმციმის კრიტერიუმებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- \*ა) წინაგულებში არსებული რომელიმე ერთი ექტოპიური კერა აღიზნება მაღალი - 350-650 იმპ/წთ სისძირით;
ბ) QRS კომპლექსის ფორმა ისეთივეა, როგორც რეგულარული კარდიალური რიტმის დროს;
გ) ციმციმის მსხვილი (F) ან წვრილი (f) ტალღები ცვლიან P კბილებს;
დ) პარკუჭოვანი რეაქცია უკიდურესად არარეგულარულია.

182. ტაქისისტოლური ფორმის მოციმციმე არიტმიის და წინაგულოვანი ტაქიკარდიის დიფერენცირებისას წინაგულოვანი ტაქიკარდიის სასარგებლოდ მეტყველებს: 1). რეგულარული R-R ციკლი; 2). P კბილის არსებობა; 3). სწრაფი პარკუჭოვანი რიტმი; 4). QRS კომპლექსის დეფორმულობა.

- ა) ყველა ჩამოთვლილი;
\*ბ) სწორია 1, 2;
გ) სწორია 2, 3, 4;
დ) სწორია 2, 3.

183. სინუსური და წინაგულოვანი ტაქიკარდიების დიფერენცირებისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია: 1). გულის შეკუმშვის სისძირის გაზრდა 100 შეკ/წთ და მეტად; 2). უნიფოკალური P კბილები, რეგულარული P-P ციკლით; 3). ნორმალური ფორმისა და ხანგრძლივობის QRS კომპლექსები.

- ა) სწორია 1, 2;
ბ) სწორია 2, 3;
\*გ) სწორი პასუხი არ არის.

184. გამომხტარი კვანძოვანი რიტმის კრიტერიუმებია: 1). ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი გამომხტარი კვანძოვანი შეკუმშვა რეგულარული, წუთში 60 შეკუმშვაზე ნაკლები სისძირით; 2). QRS კომპლექსი ნორმალური, კარდიალური რიტმის დროს არსებული კომპლექსის მსგავსია; 3). QRS კომპლექსი შეიძლება დეფორმული და გახანგრძლივებული იყოს.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
\*ბ) სწორია 1, 2;
გ) სწორია 1, 3.

185. კვანძოვანი ტაქიკარდიის კრიტერიუმებია: 1). ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი კვანძოვანი ექსტრასისტოლა წუთში 100 შეკუმშვაზე მეტი სისძირით; 2). QRS კომპლექსის ფორმა ნორმალური კარდიალური რიტმის დროს არსებული კომპლექსის მსგავსია; 3). QRS კომპლექსი შეიძლება დეფორმული და გახანგრძლივებული იყოს; 4). ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი კვანძოვანი ექსტრასისტოლა 60-100 შეკ/წთ სისძირით.

- \*ა) სწორია 1, 2;
ბ) სწორია 1, 3;
გ) სწორია 2, 4;
დ) სწორია 3, 4.







186. ბრადისისტოლური ფორმის, წვრილტალღოვანი მოციმციმე არიტმიისა და გამომსტარი კვანძოვანი რიტმის დიფერენცირებისას კვანძოვანი რიტმის სასარგებლოდ მტყვევლებს:

- ა) შეუცვლელი QRS კომპლექსი;
- \*ბ) თანაბარი R-R ციკლი;
- გ) I ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადის ნიშნები;
- დ) პისის კონის მარცხენა ფეხის ბლოკადის ნიშნები;
- ე) მარჯვენა პარკუტის ჰიპერტროფიის ნიშნები.

187. გამომსტარი პარკუტოვანი რიტმის კრიტერიუმებია: 1). ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი პარკუტოვანი ექსტრასისტოლა რეგულარული 40 შეკ/წთ და ნაკლები სისწირით; 2). გაფართოებული და დეფორმული QRS კომპლექსები; 3). ექტოპიური P კბილის არ არსებობა; 4). შეიძლება აღინიშნოს ნორმალური კარდიული რიტმის მსგავსი QRS კომპლექსების აღმოცენება.

- \*ა) სწორია 1, 2, 3;
- ბ) სწორია 1, 2, 4;
- გ) სწორია 2, 3, 4.

188. აჩქარებული პარკუტოვანი რიტმის კრიტერიუმებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი პარკუტოვანი ექსტრასისტოლა რეგულარული 40-100 შეკ/წთ სისწირით;
- \*ბ) ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი პარკუტოვანი ექსტრასისტოლა არარეგულარული 40-100 შეკ/წთ სისწირით;
- გ) გაფართოებული და დეფორმული QRS კომპლექსები;
- დ) ექტოპიური P კბილის არ არსებობა.

189. პარკუტოვანი ტაქიკარდიის კრიტერიუმებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი პარკუტოვანი ექსტრასისტოლა რეგულარული 100 შეკ/წთ და მეტი სისწირით;
- ბ) გაფართოებული და დეფორმული QRS კომპლექსები;
- \*გ) ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებული 4-6 ან მეტი პარკუტოვანი ექსტრასისტოლა არარეგულარული 100 შეკ/წთ და მეტი სისწირით;
- დ) ექტოპიური P კბილის არ არსებობა.

190. პარკუტების ციმციმის კრიტერიუმებია: 1). პარკუტებში არსებული 1 ან მეტი ექტოპიური კერა აღიგნება რეგულარული 150-300 შეკ/წთ სისწირით; 2). პარკუტებში არსებული მრავალი ექტოპიური კერა აღიგნება რეგულარული 150-500 იმპ/წთ სისწირით; 3). პარკუტებში არსებული მრავალი ექტოპიური კერა აღიგნება ქაოსური რიტმით 150-500 იმპ/წთ სისწირით; 4). არ ფიქსირდება არც წინაგულთა აქტივობა და არც QRS კომპლექსები და მათთან ასოცირებული ST-S კბილები.

- ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 2, 4;
- \*გ) სწორია 3, 4.

191. ქვემოთ მოყვანილი დებულებებიდან სწორია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) AV-დისოციაციის განვითარებისას ადგილი აქვს ორი დამოუკიდებელი რიტმის წამყვანის ფუნქციონირებას, რომელთაგან ერთი (დომინანტური) მოთავსებულია AV კვანძში ან პარკუტებში, მეორე კი სინოატრიულ კვანძში ან წინაგულებში;
- ბ) AV დისოციაციის არსებობისას წინაგულების და პარკუტების შეკუმშვის სინხრონიზაცია იღენტურია, ან პარკუტები იკუმშებიან უფრო მაღალი რიტმით;

გ) სრული AV ბლოკადის დროს პარკუტების შეკუმშვის სინხრონიზაცია მნიშვნელოვნად დაბალია წინაგულების შეკუმშვის სინხრონიზაციაზე;

\*დ) სრული AV ბლოკადა და AV დისოციაცია სინხრონიზაცია.

192. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი ცნება Torsades de Pointes-ის ცნებასთან მიმართებაში: 1). Torsades de Pointes პარკუტოვანი არიტმიების ერთ-ერთი სახეა; 2). Torsades de Pointes გულის თანდაყოლილი მახეა; 3). Torsades de Pointes ხშირად ასოცირებულია Q-T ინტერვალის გახანგრძლივებასთან; 4). ხშირად ვითარდება I ჯგუფის ანტიარითმული პრეპარატების მიღებისას.

- \*ა) სწორია 1, 3, 4;
- ბ) სწორია 1, 2, 3;
- გ) სწორია 2, 3, 4.

193. აბერაციით მიმდინარე წინაგულების თრთოლვის და ციმციმის კრიტერიუმებია:

- \*ა) დეფორმული და გაფართოებული QRS კომპლექსი, რომელიც ხანმოკლე შუალედით მოჰყვება გრძელ R-R ციკლს;
- ბ) დეფორმული და გაფართოებული QRS კომპლექსი, რომელიც ხანგრძლივი შუალედით მოჰყვება გრძელ R-R ციკლს;
- გ) დეფორმული და გაფართოებული QRS კომპლექსი, რომელიც ხანგრძლივი შუალედით მოჰყვება მოკლე R-R ციკლს;
- დ) დეფორმული და გაფართოებული QRS კომპლექსი, რომელიც ხანმოკლე შუალედით მოჰყვება მოკლე R-R ციკლს.

194. აბერაციით მიმდინარე სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის კრიტერიუმებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) გაფართოებული და დეფორმული QRS კომპლექსები აღმოცენდებიან სწრაფი რიტმით;
- ბ) მათ წინ უსწრებს ან უკან მოჰყვება T კბილზე ზედღებული ექტოპიური P კბილი;
- \*გ) ხშირად პარკუტების რიტმი დარღვეულია;
- დ) აბერანტული QRS კომპლექსის საწყისი ნაწილი ისეთივე პოლარობისაა, როგორც ნორმალური გამტარობის დროს.

195. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი აბერაციის ცნებასთან მიმართებაში: 1). აბერაცია ეწოდება QRS კომპლექსის ნორმალური კონფიგურაციიდან გადახრას; 2). აბერანტული QRS კომპლექსი, ხშირად, პისის კონის მარჯვენა ფეხის ბლოკადისას არსებული კომპლექსის მსგავსია; 3). აბერაციის ხარისხი დამოკიდებულია ნორმალური და არანორმალური გზებით გატარებული დეპოლარიზაციის ტალღების რაოდენობრივ თანაფარდობაზე; 4). აბერანტული QRS კომპლექსი, უპირატესად, პისის კონის მარცხენა ფეხის წინა ტლტის ბლოკადისას არსებული კომპლექსის მსგავსია.

- \*ა) სწორია 1, 2, 3;
- ბ) სწორია 1, 3;
- გ) სწორია 2, 3;
- დ) სწორია 4.

196. წინაგულების ციმციმის და თრთოლვის ფონზე აღმოცენებული პარკუტოვანი ექსტრასისტოლის და აბერაციის სადიფერენციაციოდ მნიშვნელოვანია შემდეგი კრიტერიუმების ცოდნა: 1). თუ გაფართოებული და დეფორმული QRS კომპლექსი მოკლე ინტერვალით მოჰყვება გრძელ R-R ციკლს უნდა ვიფიქროთ აბერაციაზე; 2). თუ ასეთივე კომპლექსი მოჰყვება მოკლე R-R ციკლს, სავარაუდოა პარკუტოვანი ექსტრასისტოლის არსებობა; 3). მულტიფოკალური, გაფართოებული და დეფორმირებული კომპლექსები მიუთითებენ პარკუტოვან ექსტრასისტოლაზე.

- \*ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- ბ) სწორი პასუხი არ არის.





197. ეკგ-ზე აღინიშნება არათანაბარი P-P ციკლი, ცვალებადი PR ინტერვალებით და 178 შუკ/წთ სისწორით. QRS კომპლექსის ხანგრძლივობა 0,13 წმ-ია; P კბილების ფორმა ცვალებადობს, QRS კომპლექსები მცირედ დეფორმულია. ავადმყოფს აღენიშნება შემდეგი არიტმია:

- ა) პაროქსისმული სუპრავენტრიკულური ტაქიკარდია;
- ბ) წინაგულების თრთოლვა;
- გ) სინუსური არიტმია, აბერაციით;
- \*დ) მულტიფოკალური წინაგულოვანი ტაქიკარდია აბერაციით;
- ე) პარაკუტოვანი ტაქიკარდია.

198. ავადმყოფი მამაკაცი, 45 წლის პერიოდულად უჩივის გულის ფრიალს. ეკგ-რიტმი სინუსური, არარეგულარული; პერიოდულად აღინიშნება ნაადრევი, დეფორმული და გაფართოებული QRS კომპლექსების აღმოცენება, რომლებსაც მოჰყვება ინვერსიული P კბილი და არასრული კომპენსატორული პაუზა. ავადმყოფს აღენიშნება შემდეგი ტიპის არიტმია:

- ა) პარაკუტოვანი ექსტრასისტოლური არიტმია;
- \*ბ) კვანძოვანი ექსტრასისტოლური არიტმია აბერაციით;
- გ) წინაგულოვანი ექსტრასისტოლური არიტმია აბერაციით;
- დ) სინუსური არიტმია;
- ე) სინუსური არიტმია აბერაციით.

199. II ხარისხის AV ბლოკადის (მობიტის I ტიპი) კრიტერიუმებია: 1). რეგულარული P-P ციკლი; 2). P-R ინტერვალის პროგრესულად გახანგრძლივება, ვიდრე რომელიმე წინაგულოვანი იმპულსის გატარება პარაკუტამდე არ შეწყდება (ბლოკირებული P კბილი) და არ ჩაიწერება პარაკუტოვანი პაუზა; 3). მუდმივი P-R ინტერვალი, ვიდრე არ მოხდება რომელიმე P კბილის ბლოკირება და განვითარდება პარაკუტოვანი პაუზა; 4). დეფორმული QRS კომპლექსების არსებობა.

- \*ა) სწორია 1, 2;
- ბ) სწორია 1, 3, 4;
- გ) სწორია 2, 4.

200. წინაგულების თრთოლის და ციმციმის ფონზე მაღალი ხარისხის AV ბლოკადის კრიტერიუმებია: 1). წინაგულების თრთოლის და ციმციმის დროს ეკგ-ზე ჩაიწერება ხანგრძლივი პარაკუტოვანი პაუზები; 2). QRS კომპლექსის ფორმა ისეთივეა, როგორც რეგულარული კარდიალური რიტმის დროს; 3). პერიოდულად ჩაიწერება ბლოკირებული P კბილი.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- \*ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

201. ფრედერიკის სინდრომი:

- ა) პარაკუტების ასისტოლიის მიხედვით თავის ტვინის პიოქსიის განვითარების შედეგად გამოწვეული ცნობიერების დაკარგვა და კრუნხებით სინდრომის განვითარება;
- \*ბ) სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადის და წინაგულების თრთოლის ან ციმციმის შერწყმა;
- გ) ხშირად ვითარდება სრული სინოაურიკულური ბლოკადის ფონზე;
- დ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის თანდაყოლილი ანომალია.

202. პისის კონის მარჯვენა ფეხის სრული ბლოკადის ძირითადი ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) V1\_V2 განხრებში (მშვიდად III, avF) rSR ან rsR ტიპის QRS კომპლექსების არსებობა;
- ბ) V5\_V6 და I და avL განხრებში ფართე, დაკბილური S კბილის არსებობა;

გ) QRS კომპლექსის გახანგრძლივება 0,12 წმ-ზე მეტად;

დ) V1 (მშვიდად III) განხრებში RS-T სეგმენტის დეპრესია და უარყოფითი ან ორფაზიანი ასიმეტრიული T კბილის არსებობა;

\*ე) გულის ელექტრული ღერძის გადახრა მკვეთრად მარცხნივ.

203. პისის კონის მარცხენა ფეხის წინა ტოტის ბლოკადის ნიშნებია: 1). გულის ელექტრული ღერძის გადახრა მკვეთრად მარცხნივ; 2). I და avL განხრებში qR, III და avF განხრებში კი sR ტიპის QRS კომპლექსის არსებობა; 3). QRS კომპლექსის ხანგრძლივობა აღემატება 0,12 წმ-ს.

- ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;
- \*ბ) სწორია 1, 2;
- გ) სწორია 1, 3;
- დ) სწორია 2, 3.

204. პისის კონის მარცხენა ფეხის სრული ბლოკადის ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

\*ა) გულის ელექტრული ღერძი აუცილებლად გადახრილია მკვეთრად მარჯვნივ;

ბ) V5, V6, I და avL განხრებში QRS კომპლექსი გაფართოებული (0,12 წმ-ზე მეტად) და დეფორმულია R კბილის დაკბილვის ან გაფართოების ხარჯზე;

გ) V5, V6, I და avL განხრებში აღინიშნება ST სეგმენტის დეპრესია და უარყოფითი ან ორფაზიანი T კბილი;

დ) V1, V2, I და avF განხრებში QRS კომპლექსი გაფართოებული და დეფორმულია S კბილის გაფართოების ან დაკბილვის ხარჯზე.

205. პისის კონის მარცხენა ფეხის არასრული ბლოკადის ეკგ ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

ა) I, avL, V5, V6 განხრებში მაღალი, გაფართოებული, ზოგჯერ დაკბილული R კბილი (V6 განხრებში S კბილი არ ფიქსირდება);

ბ) III, avF, V1, V2 განხრებში დრმა, გაფართოებული, ზოგჯერ დაკბილული S კბილი;

გ) QRS კომპლექსის ხანგრძლივობა 0,10\_0,11 წმ-ის ფარგლებშია;

\*დ) I, avL, V5, V6 განხრებში უარყოფითი ან ორფაზიანი T კბილი;

ე) გულის ელექტრული ღერძი უფრო ხშირად მარცხნივ გადახრილი.

206. ქვემოთ ჩამოთვლილი ეკგ პათოლოგიებიდან რომელი არ შეესაბამება ბიფასციკულური ბლოკადის ცნებას:

ა) პისის კონის მარცხენა ფეხის წინა ტოტის და მარჯვენა ფეხის ბლოკადა;

ბ) პისის კონის მარცხენა ფეხის უკანა ტოტის და მარჯვენა ფეხის ბლოკადა;

გ) პისის კონის მარცხენა ფეხის ორივე ტოტის ბლოკადა;

\*დ) პისის კონის რომელიმე ორი ტოტის და I ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა.

207. ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან მიუთითეთ რომელია სწორი I ხარისხის სინოატრიალურ ბლოკადასთან მიმართებაში:

ა) P-P ციკლი პროგრესულად მოკლდება მანამ, სანამ აღიმკვრება პარაკუტოვანი პაუზა;

ბ) პარაკუტოვანი პაუზის აღმოცენებამდე P-P ციკლი მუდმივია;



\*გ) I ხარისხის სინოატრიალური ბლოკადა ეკგ-ზე არ ფიქსირდება;

დ) P-Q(R) ინტერვალი მუდმივია, მანამ სანამ არ აღიძვრება პარკუჭოვანი პაუზა.

**208. ვენკენბახის II ხარისხის სინოატრიალური ბლოკადის კრიტერიუმები:** 1). P-P ციკლი პრაგმატულად მოკლეება მანამ, სანამ აღიძვრება პარკუჭოვანი პაუზა, რომლის დროსაც არ ფიქსირდება PQRST კბილები; 2). პაუზის ხანგრძლივობა ნაკლებია წინა P-P ციკლის გაორმაგებულ ხანგრძლივობაზე; 3). პაუზის ხანგრძლივობა მეტია წინა P-P ციკლის გაორმაგებულ ხანგრძლივობაზე; 4). QRS კომპლექსი გულის რეგულარული რიტმის დროს არსებული კომპლექსის მსგავსია.

- \*ა) სწორია 1, 2, 4;
- ბ) სწორია 1, 3, 4.

**209. მობიტცის II ხარისხის SA ბლოკადის კრიტერიუმები ყველა ჩამოთვლილი, გარდა:**

ა) პარკუჭოვანი პაუზის აღმოცენებამდე P-P ციკლი მუდმივია;

ბ) პაუზის განმავლობაში არ ჩაიწერება არც P კბილი და არც QRS კომპლექსი;

\*გ) პარკუჭოვანი პაუზა ნაკლებია წინა P-P ციკლის გაორმაგებულ ხანგრძლივობაზე;

დ) QRS კომპლექსი გულის რეგულარული რიტმის დროს არსებული კომპლექსის მსგავსია.

**210. ვოლფ-პარკინსონ-უაიტის (WPW) სინდრომის კრიტერიუმები ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:**

ა) სინუსური რიტმი, შემოკლებული P-Q(R) ინტერვალებით;

ბ) დელტა ტალღის არსებობა;

გ) სხვადასხვა სიფართის და კონფიგურაციის QRS კომპლექსები;

დ) მიდრეკილება სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიების აღმოცენებისადმი;

\*ე) მიდრეკილება პარკუჭოვანი ტაქიკარდიების აღმოცენებისადმი.

**211. WPW სინდრომის დროს განვითარებული სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის და პარკუჭოვანი ტაქიკარდიის დიფერენცირებისას მნიშვნელოვანია:**

ა) QRS კომპლექსის ფორმა და ხანგრძლივობა;

ბ) R-R ციკლის რეგულარობა და სისშირე;

\*გ) ექტოპური P კბილების აღმოჩენა;

დ) Q-T ინტერვალის ხანგრძლივობა.

**212. WPW სინდრომის დროს განვითარებული სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის და ამ სინდრომის ფონზე აღმოცენებული მოციმციმე არიტმიის დიფერენცირებისას მნიშვნელოვანია:** 1). QRS კომპლექსის ფორმა; 2). რეგულარული ან არარეგულარული R-R ციკლის არსებობა; 3). ეკგ P კბილების აღმოჩენა.

ა) ყველა ჩამოთვლილი;

ბ) სწორია 1, 2;

გ) სწორია 1, 3;

\*დ) სწორია 2, 3.

**213. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია არასწორი ლაუნ-ჰენონგ-ლევის სინდრომთან (LGL) მიმართებაში:**

ა) LGL სინდრომი ვითარდება წინაგულებიდან პარკუჭებამდე დამატებითი გამტარი გზების ფუნქციონირებისას;

ბ) LGL სინდრომის დროს P-Q(R) ინტერვალის ხანგრძლივობა 0,12 წმ-ზე ნაკლებია;

გ) LGL სინდრომის დროს QRS კომპლექსის ხანგრძლივობა და ფორმა ნორმის ფარგლებშია;

\*დ) LGL სინდრომი, ჩვეულებრივ, ვითარდება თირეოტიკოსის ფონზე.

**214. ეკგ-ზე აღნიშნება არათანაბარი 75-82 შუკწო სისშირის რიტმი, კომპლექსიდან კომპლექსამდე P კბილის ფორმა ცვალებადობს. აღინიშნება P-R ინტერვალის მცირედ გამოსატყულო მერყეობა ავადმყოფს აღნიშნება შემდეგი ტიპის არიტმია:**

ა) სინუსური არიტმია;

ბ) I ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა;

\*გ) რიტმის წამყვანის მიგრაცია;

დ) მულტიფოკალური წინაგულოვანი ტაქიკარდია;

ე) II ხარისხის სინოატრიკულური ბლოკადა.

**215. კლერკ-ლევი-კრიტესკოს სინდრომი (CLC) განსხვავდება ლაუნ-ჰენონგ-ლევის სინდრომისაგან იმით, რომ 1). CLC არ არის დაკავშირებული დამატებითი გზების ფუნქციონირებასთან; 2). CLC ვითარდება მიოკარდიუმის ინფარქტის, თირეოტიკოსის და ზოგიერთი სხვა პათოლოგიის დროს; 3). CLC სინდრომის დროს აღინიშნება P-Q(R) ინტერვალის შემოკლება.**

ა) სწორია ყველა ჩამოთვლილი;

\*ბ) სწორია 1, 2;

გ) სწორია 1, 3;

დ) სწორია 2, 3.

**216. მარცხენა წინაგულის ჰიპერტროფიის და წინაგულში და ბლოკადის დიფერენცირებისას, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მეტყველებს:**

ა) I, avL, V5, V6 განხრებში ორკუჩხიანი P კბილის არსებობა;

ბ) II, III avF განხრებში P კბილის ამპლიტუდის შემცირება - გადასწორებული P კბილი;

გ) P კბილის ამპლიტუდის გაზრდა - 2,5მმ-ზე მეტად;

\*დ) P კბილის გახანგრძლივება 0,12 წმ-ზე მეტად.

**217. ორივე წინაგულის ჰიპერტროფიის ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:**

ა) I, avL, V5-V6 განხრებში გაფართოებული და ორკუჩხიანი P კბილი;

ბ) II, III, avF განხრებში წვეტიანი P კბილები;

გ) III და avF განხრებში P კბილის ამპლიტუდა 2,5 მმ-ია;

\*დ) მახურის ინდექსი (P კბილის ხანგრძლივობის შეფარდება PQ სეგმენტთან) არ აღემატება 1,6-ს.

**218. ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან რომლები ვითარდება მარცხენა პარკუჭის მკვეთრი ჰიპერტროფიის დროს (ზომიერ ჰიპერტროფიას ეს ნიშნები არ ახასიათებს) 1). V5-V6 განხრებში P კბილის ამპლიტუდის გაზრდა, V1-V2 განხრებში კი S კბილის გაღრმავება; 2). გულის მობრუნება სივრცითი ღერძის გარშემო საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით; 3). V5, V6, I და avL განხრებში RS-T სეგმენტის დებრეისა და უარყოფითი ან ორფაზიანი T კბილი; 4). V5-V6-ზე განხრებში შინაგანი გადახრის ინტერვალის გაზრდა 0,05 წმ-ზე მეტად.**

ა) სწორია 1, 2, 3;

ბ) სწორია 2, 4;

\*გ) სწორია 2, 3, 4.



გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობაგა,  
კ. ჩახუნაშვილი, დ. ჩახუნაშვილი

**ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის  
საფუძვლები**

(II ტომი – რევმატოლოგია)



CARDIOLOGY  
REVMATOLOGY

თბილისი  
2014

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოს II - ტომი გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობაგა, კ. ჩახუნაშვილი, დ. ჩახუნაშვილი „ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის საფუძვლები“ (II-ტომი რევმატოლოგია) ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე. თბილისი, გამომცემულია საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის მიერ 2014 წ. გვ. 150.

იგი შედგება დაავადებების მიმოხილვის ორი თავისა და პრაქტიკოსი ექიმებისათვის განკუთვნილი რამოდენიმე თავისაგან. დაავადებების მიმოხილვის პირველ თავში მოცემულია ართრიტი ცხრილებსა და გრაფიკებში, ხოლო კერძო ნაწილში – მეორე თავი ვფიქრობთ არა ტრადიციულად, მაგრამ ორიგინალურად კითხვა-პასუხის რეჟიმში მოწოდებულია იუვენალური იდიოპათური ართრიტი, სისტემური წითელი მგლურა, იუვენალური დერმატომიოზიტი, სკლეროდერმია, იუვენალური სპონდილოართროპათიები, კავასაკის დაავადება, პენოხ-შონლაინის პურპურა, იშვიათი იუვენალური პირველადი სისტემური ვასკუ-

**ახონსი**

**მაღე ექიმთა ფართო  
საზოგადოება მიიღებს  
კარგ საჩუქარს**

ლიტები (კვანძოვანი პოლიარტერიტი, ტაკაიასუ, ვეგენერის გრანულომატოზი, სხვა ვასკულიტები), რევმატიული ცხელება და პოსტსტრეპტოკოკული რეაქტიული ართრიტი, ბენჩეთის დაავადება, ლაიმეს ართრიტი. ამ თავში განხილულია აგრეთვე ტკივილის სინდრომები, გენეტიკურ ანომალიებთან დაკავშირებული მორეციდივე ცხელები, ოჯახური ხმელთაშუა ზღვის ცხელება, მედიკამენტური თერაპია და AUTOINFLAMMATORY DISEASES. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შემდეგ თავებში მოწოდებულია პრაქტიკოსი ექიმებისათვის საინტერესო და საჭირო ინფორმაციები და არა მარტო მათთვის.

წიგნში ავტორებმა გამოიყენეს კლინიკური მავშვთა რევმატოლოგიის უახლესი მონაცემები, საერთაშორისო კლასიფიკაციები, პირადი მრავალწლიანი კლინიკური, სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება.


წიგნი პირველ რიგში განკუთვნილია სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, პედიატრ-რეზიდენტებისათვის, პედიატრებისათვის, იგი ასევე დიდ დახმარებას გაუწევს ამ დარგში მომუშავე სხვა პროფილის ექიმებს და უშუალოდ სუბსპეციალობა ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიაში მათ გადამზადებას.

რეცენზენტები:

პროფესორი **ირ.ციციშვილი**

პროფესორი  
**ა.ვ. კვეხიჩელი-კოპაძე**

**ერთ-ერთი  
პირველი  
ქართული  
პრეპარატები**



**პიპური**

გაქონიერებულია ფაქანის პროდუქტებით



2014-2015 წწ. წაკითხულია კლინიკური ლექციები ბავშვთა კარდიო – რევმატოლოგიის საფუძვლები – (სულ 4-ლექცია), სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმებთანთვის. აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგთათვის. შესაძლებელია მსურველებს პრეზენტაციები ჩაგაწერინოთ.

(„ირ.ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა“ – ლუბლიანას ქ. 21. დიდოში)

რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ეს იქნება საჩუქრის სახით.

(სასურველია წინასწარ შემითანხმდეთ – პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი)

## კლინიკური ლექციები ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის საფუძვლები

სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმებთანთვის. აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგთათვის

**შესავალი**

- CARDIOLOGY
- REVMATOLOGY

მმ.დ. პროფესორი კაცხვიძრი ვიორჯი ჩახუნაშვილი მედიცინის დოქტორი წინააღმდეგ 2014

## ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის საფუძვლები

**შესავალი**

<p><b>1</b></p> <p>სისხლის მიმოქცევა (დედა – პლაცენტა – ნაყოფი)</p> <p>Cardiac Problems in Perinatology and Paediatrics;</p>	<p><b>2</b></p> <p>ინსექცია პერტუსია აუსკულტაცია (ფკგ) და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები</p>	<p><b>3</b></p> <p>ეკგ-ის კლინიკური დიფერენციალური ბავშვთა და მოზარდთა ასაკში- პედიატრიისა და ბ/კარდიო-რევმატოლოგიაში)</p>
--	---	--

## წასაკითხია აგრეთვე

<p><b>(4)</b></p> <p>ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ექო გრაფია,</li> <li>კაპილაროსკოპია,</li> <li>კარდიოინტერვალოგრაფია,</li> <li>Re-გრაფია და სხვ.</li> </ul>	<p><b>(5)</b></p> <p><b>Cor</b></p> <p>გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები</p>	<p><b>(6)</b></p> <p><b>Rev</b></p> <p>შემერთებული ქსოვილის დაავადებები</p>	<p><b>(7)</b></p> <p>სიმპტომების და სიმძრომების (ცხელბა ართრალგია მიაღვან გამონაყარი და ა.შ.) კლინიკური დიფერენციალური ბავშვთა და მოზარდთა ასაკში)</p>
---	--	---	--

# კარტანი



- ➔ პირველი L-კარნიტინის შემცველი პრეპარატი
- ➔ გუნებრივი ვიტამინისმაგვარი ნივთიერება
- ➔ უჯრედული მეტაბოლიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგულატორი

- L-კარნიტინის თანდაყოლილი დეფიციტი:**
- ➔ მემკვიდრული დაავადება
- L-კარნიტინის მიორადი დეფიციტი:**
- ➔ კარნიტინის ნაკლებობა საკვებში
  - ➔ ორგანიზმი ენდოგენური კარნიტინის ბიოსინთეზის დარღვევა
  - ➔ კარნიტინის შენთვის დარღვევა
  - ➔ კარნიტინის კარგვა თირკმლის მილიაქიმიდან
- L-კარნიტინის დეფიციტის ნიშნები:**
- ➔ შრომისუნარიანობის დაქვეითება
  - ➔ გავშთა ასაკში ხშირი ავადობა
  - ➔ კუნთთა ტონუსის პროგრესირებადი დაქვეითება
  - ➔ მამაკაცებში სპერმატოზოიდავის აქტივობის დაქვეითება
  - ➔ კარდიომიოპათია, გულის უკმარისობა, სტენოკარდია
  - ➔ გულის, ღვიძლის, კუნთების ცხიმოვანი დისტროფია



L-კარნიტინის დეფიციტი სერიოზულ პრობლემებს უქმნის თქვენს პაციენტებს!

კარნიტინის პირველადი და მეორადი დეფიციტის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის 2007 წლიდან FDA-ს რეკომენდაციით მოწოდებულია L-კარნიტინის გამოყენება



- აბჯ-ის გენერაცია
- ანტივიოქსიური და ანტიოქსიდანტორი მოქმედება
- ანასტროლიდი ანაბოლური მოქმედება
- ანტიათროსკლეროზული მოქმედება
- ჰეპატოპროტექტორული მოქმედება
- ნეიროპროტექტორული მოქმედება
- გლუკოზის დონის რეგულაცია
- ანტიტიროიდალური მოქმედება
- სპერმატოგენეზის სტიმულაცია
- ღებოქსიაცია

